დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნოდარ ანგურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრები:

1. ლიკა გიორგაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
2. ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
3. ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
4. თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
5. ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
6. ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
7. თამარ კვანტიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
8. მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
9. ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
10. მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	419987474

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი
იურიდიული მისამართი	ზუგდიდის რაიონი, სოფელი კახათი (მეწარმეთა და არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით)
ფაქტობრივი მისამართი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, ნარმანიას ქ.N1
საფოსტო ინდექსი	4963
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://kakhatisgimnazia.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kaxatissasuliero@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995 599 925270

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 12/04/2024, ბრძანება MES 2 24 0000421194, ცვლილება 30/04.2024, ბრძანება MES 2 24 0000484375

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 13 და 14 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, ნარმანიას ქ.N1
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, ნარმანიას ქ.N1
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი კახათი, ნარმანიას ქ.N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

დაწესებულებაში ვიზიტი დაიწყო დღის წესრიგით განსაზღვრულ დროს 10:00. ვიზიტზე ადგილზე მივედით თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ექსპერტი, საბუნებისმეტყველო საგნის ექსპერტი და ცენტრის წარმომადგენელი.

სკოლაში მისულებს, სკოლის წარმომადგენელმა გვიჩვენა ჩვენთვის გამოყოფილი სამუშაო სივრცე. სკოლის წარმომადგენლებთან ერთად, ვინც ბრძანებით იყვნენ გამოყოფილი ექსპერტთა ჯგუფთან სამუშაოდ, კიდევ ერთხელ გავიარეთ დღის წესრიგის პუნქტები და გავაცანით საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრების განრიგი. ვიზიტის მიმდინარეობის ორივე დღეს ვიზიტი წარიმართა მშვიდ, თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის აქტივობები განხორციელდა ისე, როგორც იყო დაგეგმილი დღის წესრიგით. საგნობრივ ექსპერტებთან მასწავლებლების გასაუბრება ხდებოდა შეთანხმებული განრიგის მიხედვით. მეორე დღის ბოლოს სკოლის წარმომადგენლებთან ერთად შევაჯამეთ გავლილი ვიზიტი.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
140	76	*140*

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლა თავის საქმიანობის გამორჩეულ პრაქტიკად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მცირერიცხოვანი კლასების გამო მოსწავლეთა საჭიროებების დადგენა დიდ ძალისხმევას არ მოითხოვს, რის გამოც, სკოლაში სწავლება ძირითადად მიმდინარეობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებზე მორგებულად

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება

	☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 140	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა;
საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული შესაბამისობა;
საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრული სესაბამისობა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.2.1.2.	*პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის შესაბამისად შეიმუშაოს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა. აღნიშნული აქტივობის განხორციელების ვადაა 07.06.2024-24.06.2024*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;*	*სკოლას ეძლევა რჩევა ხედვის პირველ ნაწილში დააკონკრეტოს მიზნის მიღწევის პერიოდი, ხოლო მეორე ნაწილი შეუსაბამოს მისიას (კონკრეტულად იხ. ინდიკატორის აღწერა). გარდა ამისა ყველა დოკუმენტში ჩაწეროს მისიის ერთი და იგივე ვერსია*
ინდიკატორი 1.2.2.1.	*სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;*	*არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას, გადმოაგზავნოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის სრული ვერსია და მისი დამტკიცების ბრძანება*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.1.1.	*სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;*	*სკოლას ეძლევა რჩევა დებულებაში დაფიქსირებული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად შეცვალოს სკოლის სტუქტურის სქემა-ონოგრამა*
ინდიკატორი 3.4.1.3.	*სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;*	*1. „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ შეათანხმოს სამინისტროსთან;* *2.არგუმენტირებულ პოზიციის ცენტრისთვის მიწოდებულ მასალებს დაურთოს კიბის უჯრედში კამერების დამონტაჟების მტკიცებულება*
ინდიკატორი 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;*	*საჯარო რეესტრის ამონაწერში განახორციელოს ახალი სახელის შესაბამისი ცვლილება*
ინდიკატორი 3.6.2.2.	*სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ*	*სკოლას ეძლევა რჩევა: ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ გააგრძელოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

	შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	***სასკოლო კურიკულუმი: დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა***	***რჩევა***
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, შესწორდეს უზუსტობები ზოგიერთ საგნობრივ კურიკულუმში. კერძოდ: „ჩვენი საქართველოს“ V კლასის კურიკულუმში, პირველი თემის შემთხვევაში („ქართლი“), მითითებული უნდა იყოს სამიზნე ცნება „საზოგადოება“; მეხუთე თემის შემთხვევაში („აჭარა“) მითითებული უნდა იყოს სამიზნე ცნება „დრო“. ასევე, „ჩვენი საქართველოს“ VI კლასის კურიკულუმში, მეექვსე თემაში („აფხაზეთი“) მითითებული უნდა იყოს სამიზნე ცნება „დრო“. „ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში“ დწყებითი საფეხურის კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში უნდა მიეთითოს, რომ მუშავდება სამივე სამიზნე ცნება, თემიდან გამომდინარე საკითხები კი გაიწეროს თითოეული თემის შესაბამისად. ასევე, სასურველია, კურიკულუმშივე გაიწეროს კომპლექსური დავალება, სადაც მოხდება სამივე ცნების დამუშავება. აქტივობების ნაწილში „ვარჯიშები ბურთით“, სასურველია, მიეთითოს რომელი სპორტის სახეობებია ნაგულისხმევი.

		„მე და საზოგადოების“ III და IV კლასების კურიკულუმებში, სასურველია, მითითებული იყოს სკოლის სრული სახელწოდება. ასევე, რესურსებში, სასურველია მიეთითოს სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა.
ინდიკატორი N 2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულებიის/მიღწევების შესწავლის მიზნით, საფეხურის ფარგლებში ჩატარდეს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც სკოლას ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.
ინდიკატორი N 2.2.1.5	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებუ ლებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში მკაფიოდ გაიწეროს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება და წესი (შესაბამისი ვადების მითითებით).
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის რჩევით, ინოვაციური და პროდუქტიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნისათვის, სასურველია, სკოლამ დამატებით შეიძინოს კომპიუტერული ტექნიკა.
ინდიკატორი N 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში გაიწეროს კონკრეტულად რომელი მეთოდები გამოიყენება სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით.
ინდიკატორი N.2.3.2 .4	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით მკაფიოდ განისაზღვროს, რა მექანიზმებით მოხდება

		სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში.
ინდიკატორი N 2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს მიეცეს ცალკე არსებული დოკუმენტის სახე, რომელშიც დროში გაიწერება გამოვლენილი რეფლექსიური მიგნებები და მათზე პასუხისმგებელი პირები.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი: საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით, სასურველია შემდეგი უზუსტობების შესწორება: გეოგრაფიის IX კლასის კურიკულუმში, სასურველია, რესურსებში, მიეთითოს სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა. ასევე, კურიკულუმების თავფურცელზე მითითებული იყოს სკოლის სრული სახელწოდება. ისტორიის VII კლასის კურიკულუმში პირველ თემაში „პრეისტორია/ქვის ხანა“ ქვესაკითხად მითითებულია „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ რაც არის არა ქვესაკითხი, არამედ სამიზნე ცნება. მეორე თემაში „ბრინჯაოს ხანა/ძველი აღმოსავლეთი“ უნდა დაკონკრეტდეს ქვეცნებები და ქვესაკითხები. IX კლასის კურიკულუმში, მესამე თემაში „საქართველო და თანამედროვე მსოფლიო“ უნდა მიეთითოს სამიზნე ცნებები „ისტორიული წყარო“, „საზოგადოება“ და „ისტორიული მოვლენა/პროცესი“. ასევე, მესამე თემაში ქვეცნებები არასწორად არის წარმოდგენილი, ისინი უნდა ეწეროს

		საკითხების ველში. მაგალითად, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“ არის საკითხი და არა ქვეცნება. მოქალაქეობის VII VIII და IX კლასების კურიკულუმებში, რესურსებში, სასურველია მიეთითოს სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა.
ინდიკატორი N 2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულებიის/მიღწევების შესწავლის მიზნით, საფეხურის ფარგლებში ჩატარდეს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც სკოლას ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.
ინდიკატორი N 2.2.1.5	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში მკაფიოდ გაიწეროსმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება (შესაბამისი ვადების მითითებით).
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევაა, ლაბორატორიაში განთავსებული სამუშაო მაგიდა აღიჭურვოს მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით.
ინდიკატორი N 2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში გაიწეროს კონკრეტულად რომელი მეთოდები გამოიყენება სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით.
ინდიკატორი N 2.3.2.4	შეფასება ხორცილედება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის

		დოკუმენტით მკაფიოდ განისაზღვროს, სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში რა მექანიზმებით მოხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი: საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით, სასურველია შემდეგი უზუსტობების შესწორება: გეოგრაფიის X კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში, პირველივე კომპლექსურ დავალებაში დასაზუსტებელია, როგორ დამუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული გარსი“. ასევე, უნდა შესწორდეს აღნიშნული სამიზნე ცნების ქვეცნება. XI კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში წარმოდგენილი ქვესაკითხები არის კონტექსტ მაგალითები, რომლებიც შესაძლებელია დამუშავდეს კომპლექსური დავალების ფარგლებში. მაგ. „თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა“, „თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება“, „თურქეთის ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა და მეურნეობა“ არის საკითხები. ასევე, გეოგრაფიის X და XI კლასების კურიკულუმების თავფურცელს უნდა ეწეროს სკოლის სრული სახელწოდება. ისტორიის X კლასის კურიკულუმში, მესამე თემაში არ უნდა იყოს სამიზნე ცნება „რელიგია“ (ისტორიის საგნორბივი სტანდარტი არ ითვალისწინებს ასეთ სამიზნე ცნებას). ასევე, სასურველია, დაკონკრეტდეს ცნების ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები. ასევე, ისტორიის XII კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში სასურველია, უნდა მიეთითოს სამიზნე ცნება „საზოგადოება“. საქართველოს ისტორიის X კლასის კურიკულუმში, სამივე თემაში დასაზუსტებელია ქვეცნებები, ხოლო XI კლასისი კურიკულუმში, პირველ თემაში ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ მუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“.

		მოქალაქეობის X კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში დასაზუსტებელია სამიზნე ცნების - „სამოქალაქო მონაწილეობა“ - ქვეცნება.
ინდიკატორი N.2.2.1.2	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულებიის/მიღწევების შესწავლის მიზნით, საფეხურის ფარგლებში ჩატარდეს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც სკოლას ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.
ინდიკატორი N.2.2.1.5	სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში მკაფიოდ გაიწეროს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება და წესი (შესაბამისი ვადების მითითებით).
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევაა, ლაბორატორიაში განთავსებული სამუშაო მაგიდა აღიჭურვოს მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით.
ინდიკატორი N.2.3.2.3	შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, შიდა სასკოლო რეგულაციებში გაიწეროს კონკრეტულად რომელი მეთოდები გამოიყენება სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით.
ინდიკატორი N.2.3.2.4	შეფასება ხორცილედება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით მკაფიოდ განისაზღვროს, სასწავლო პროცესის შეფასების პროცესში რა მექანიზმებით მოხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- შრომითი ხელშეკრულებებში არ იყო მითითებული მოქმედების ვადები - აღმოფხვრილი იყო წინა ვიზიტის მიმდინარეობისას
- დასამონტაჟებელი იყო ერთი კამერა - აღმოფხვრილი იყო წინა ვიზიტის მიმდინარეობისას
- ახალ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით - აღმოფხვრა უნდა მომხდარიყო ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ცენტრში ახალი სახელმძღვანელოების ნუსხისა და მიღება ჩაბარების აქტის გაგზავნით - მიმდინერე ვიზიტისთვის რეკომენდაცია შესრულებულია
- ლაბორატორიაში არ იყო გამწოვი და უნდა მომხდარიყო გაფართოება, რათა ლაბორატორია ხელმისაწვდომი ყოფილიყო მრავალრიცხოვანი კლასისთვისაც - მიმდინარე ვიზიტისთვის ლაბორატორიულ კლასში შესაძლებელია მრავალრიცხოვანი კლასის მიღება და ცდის ჩასატარებელ ადგილას დამინტაჟებულია გამწოვი

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა მიერ არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებულ იქნა ყველა ხარვეზთან მიმართებაში, შედეგად გამოვლენილი ხარვეზებიდან ყველა ინდიკატორი, ერთის გარდა. გადავიდა სრულ შესაბამისობაში, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესრულების შესაბამისი ინდიკატორები. რაც შეეხება იმ ერთ ინდიკატორს, რომელიც სრულად ვერ დაკმაყოფილდა, გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, რადგან სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიას (შემდგომში „სკოლა“) მისია, ხედვა და ღირებულებები ცალ-ცალკე შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს (მოქმედ და დასამტკიცებლად გამზადებულუ ახალი ვერსიის პროექტს), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ხედვის, როგორც მისიის მიღწევის შუალედური მიზნის (მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების) ჩამოსაყალიბებლად კარგი იქნება, თუ სკოლა ხედვის პირველ ნაწილში დააკონკრეტებს მიზნის მიღწევის საშუალოვადიან პერიოდს. რაც შეეხება ხედვის მეორე ნაწილს, მართალია სკოლას დაკონკრეტებული აქვს მიზნის მიღწევის პერიოდი, თუმცა მეორე ნაწილი არ შეესაბამება მისიას, რადგან ხედვის მეორე ნაწილი პადაგოგთა კვალიფიკაციის გაზრდაზე საუბრობს, მაშინ როცა, მისიაში საერთოდ არაა პედეგოგთა (არც თანამშრომელთა) კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ გაცხადებული. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლამ ვიზიტის დროს გადმოაგზავნა დებულება, რომელშიც ჩაწერილია სკოლის მისია, რომელიც რადიკალურად განსხვავდება სკოლის ძირითად დოკუმენტებში და ვებგვერდზე გასაჯაროებულ სკოლის მისიისგან

სკოლას ეძლევა რჩევა: ხედვის პირველ ნაწილში დააკონკრეტოს მიზნის მიღწევის პერიოდი, ხოლო მეორე ნაწილი შეუსაბამოს მისიას. გარდა ამისა ყველა დოკუმენტში ჩაწეროს მისიის ერთი და იგივე ვერსია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას მისიით განსაზღვრული აქვს პოზიტიური, კონკურენტუნარიანი და სწავლისთვის მასტიმულირებელ გარემოს უზრუნველყოფა, რაც გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ მისიის, ხედვის და ღირებულებების შესამუშავებლად ჩართო სასკოლო საზოგადოება. შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე. წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და მათი მუშაობის ამსახველი სამუშაო შექვედრების ოქმები და ფოტოსურათები. ეწყობოდა ზეპირი განხილვები და ამის შემდეგ შეიმუშავეს მისიის ხედვის ღირებულებების სამუშაო ვერსიები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა და ღირებულებების სამუშაო ვერსია სამუშაო ჯგუფის მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან შეხვედრების საშუალებით გააზიარა და მიიღო ზეპირი უკუკავშირები, რაც სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა სამუშაო შეხვედრაზე. სკოლამ წამოადგინა ამ სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი. ამის შემდეგ სამუშაო ჯგუფმა სკოლას წარმუდგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო ვერსიები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ვებ გვერდზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დასახელებაა „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია“. ეს სახელი მას ეწოდება 15.02.2024 წლიდან, სკოლამ წარმოადგინა სახელის ცვლილების შესახებ დამფუძნებლის გადაწყვეტილება და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების

რეესტრიდან. მანამდე სკოლის დასახელება იყო „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზია“. სკოლის დასახელება შეესაბამება მის სტატუსს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- სკოლის ვებგვერდი - https://kakhatisgimnazia.ge/
- დამფუძნებლის გადაწყვეტილება სახელის შეცვლასთან დაკავშირებით;
- სკოლის ახალი წესდება;
- ამონაწერი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ საავტორიზაციოდ ცენტრში წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლიდანაც ირკვევა, რომ სკოლამ შექმნა ჯგუფი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად. ჯგუფში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომადგენელი: დირექცია, მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, სულ ჯგუფი შედგებოდა 9 წევრისგან. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას სტრატეგიული დაგეგმვისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის რვაწლიანი და მოიცავს 2023/2024 სასწავლო წლიდან 2030/2031 სასწავლო წლების ჩათვლით პერიოდს. მისი დამტკიცების ბრძანებაში ის მოხსენიებულია, როგორც 7 წლიანი გეგმა. ვიზიტის დროს სკოლამ განაცხადა, რომ გამოასწორა ტექნიკური ხარვეზი. სკოლას ეთხოვა, გადმოეგზავნა კორექტირებული ვერსია, რაზეც სკოლამ მზაობა გამოთქვა, მაგრამ ვიზიტის დროს გადმოგზავნილ დოკუმენტებში კორექტირებული სტრატეგიული გეგმა არ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიულ გეგმაში ასახულია სკოლის სტრატეგიული მიზნები, ხოლო მიზნები ჩაშლილია ამოცანებად; სტრატეგიული დაგეგმვა სკოლამ განახორციელა swot ანალიზის საფუძველზე; ის წინააღმდეგობაში არ მოდის სკოლის მისიასთან, მაგრამ ის **არ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს 7--წლიანობის ნაწილში**. <u>სკოლამ არგუმენტირებულ</u>

პოზიციასთან ერთად წარმოადგინა ახალი სტრატეგიული გეგმა, რომელიც გასწორებულია და 7-წლიანია და ტექნიკური ხარვეზის გასწორების ბრძანება. შესაბამისად დაფიქსირებული **ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში**.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტარტეგიულ გეგმას და ყოველწლიურ swot ანალიზს. მასში წარმოდგენილია სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი ამოცანები ჩაშლილია აქტივობებად.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ამოცენების შესაბამისი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერტეულები, შესრულების ინდიკატორები, საჭირო რესურსები (როგორც ადამიანური, ისე ფინანსური და მატერიალური), აქტივობის შესრულების სტატუსი, მტკიცებულება და შესრულების ვადები.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ერთ-ერთი კათედრის სხდომის ოქმი;
- დირექტორის ბრძანება N2-43, 04.09.2023, „სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- დირექტორის ბრძანება N2/04, 13.09.2023, „შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- დირექტორის ბრძანება N2/05, 13.09.2023, „ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სტრატეგიული გეგმა (2023/24 -2030/31 წწ)
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 წწ.).

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სტრატეგიულ გეგმაში ჩასმულია თავი - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გათვალისწინებულია, რომ სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფი ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შექმნის პროცესს, **შესრულების მონიტორინგს, შესრულებული სამუშაოების შეფასებასა და საჭიროებისამებრ მათ კორექტირებას**. მოცემულია ციკლი/დიაგრამა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება აღნიშნული აქტივობები. როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, სკოლას ცალკე დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, ხოლო ის ვერსია, რაც სტრატეგიულ გეგმაშია - შემოკლებული ვარიანტია. სკოლას თხოვა ვიზიტის დროს გადმოგზავნილ დოკუმენტებთან ერთად გადმოეგზავნა სტრატეგიული გდაგეგმვის მეთოდოლოგიის სრული ვერსია და მისი დამტკიცების ბრძანება, მაგრამ სკოლამ რატომღაც არ გადმოაგზავნა. **სკოლას ეძლევა რჩევა** არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას, გადმოაგზავნოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის სრული ვერსია და დამტკიცევის ბრძანება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, დამტკიცებული აქვს წლის დასაწყისში. მეთოდოლოგიის სრულ ვერსიაში (იხ. წინა ინდიკატორი) ჩაწერილია, რომ ივნისში მოხდება მონიტორინგის შედეგების შეფასება. ამდენარ, რადგან ვიზიტი განხორციელდა მაისში, სკოლას ჯერ არ ჰქონდა გაკეთებული მონიტორინგის შედეგების შეფასება.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. იმავე მიზეზით, რადგან სასწავლო წელი ჯერ არ არის დამთავრებული და სკოლა არ ჰქონდა ანგარიშები, ვერც გაასაჯაროებდა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. იმავე მიზეზით, რადგან სკოლას არ ჰქონდა ანგარიშები დასრულებული, ამიტომ მის შედეგებს ვერ გამოიყენებდა შემდგომი დაგეგმვისას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას დირექტორის მიერ 2024 წლის 16 თებერვალს N2/19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „სტრუქტურული ერთეულების მართვის დებულება“. დებულების მიხედვით განსაზღვრულია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, პედაგოგიურ საბჭოს, კათედრის და მისი თავმჯდომარის, დამრიგებლის, მასწავლებლის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერის, ბიბლიოთეკის, სამედიცინო და ტექპერსონალის ფუნქციები. გარდა ამისა, სკოლის წესდებაში ასევე არის გიმნაზიის რექტორის და დირექტორის ფუნქციები, რომელიც ავსებს სტრუქტურულ ერთეულებში

ჩაწერილ დირექტორის ფუნქციებს. „სტრუქტურული ერთეულების მართვის დებულებაში“ გაცხადებულია, რომ შინაგანაწესში მოცემულია დისციპლინური კომიტეტის, როგორც ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, მაგრამ შინაგანაწესში ეს ფუნქციები არაა, იქ, 36-ე მუხლში მხოლოდ დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაზე და მათ დამტკიცებაზეა საუბარი და, რომ დისციპლინური კომიტეტი განიხილავს მოსწავლეებისა და დასაქმებულების მხრიდან დისცილინური გადაცდომის საკითხებს, ხოლო **რა წესით განიხილავს, რა ვადებში, როგორ იღებს გადაწყვეტილებებს და ამდაგვარი საკითხები განმარტებული არ არის, ანუ მკაფიოდ არ არის მოცემული დისციპლინური კომიტეტის, როგორც ერთ-ერთ- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები. გარდა ამისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულად სკოლის დებულებაში მოხსენიებულია ე.წ. „აკადემიური მრჩეველთა საბჭო“ და „საკვირაო სკოლა“ რომელიც სკოლის სხვა დოკუმენტებში, ვებ გვერდზე ანდა სტრუქტურის ე.წ. ონოგრამაზე მოხსენიებული არ არის.** სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებას დაგეგმილი აქვს 1.სკოლის დოკუმენტაციაში დისციპლინური კომიტეტის, როგორც ერთ-ერთ- სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების მკაფიოდ გაწერა; და 2. ყველა დოკუმენტში სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების ერთგვაროვნად გაწერა. მათგან სკოლამ გადმოაგზავნა შეინაგანაწესი, რომელშიც დისციპლინური კომიტეტის ფუნქციები მკაფიოდაა გაწერილი, რაც შეეხება სტრუქტურული ერთეულების სასკოლო დოკუმენტაციაში ერთგვაროვნად გაწერას, სკოლამ გამოაგზავნა მტკიცებულება - სკოლის დებულება და მისი დამტკიცების ბრძანება, რომელშიც სტრუქტურულ ერთეულებად აღარ არის მოხსენიებული „აკადემიური მრჩეველთა საბჭო“ და „საკვირაო სკოლა“. სკოლას ეძლევა რჩევა დებულებაში დაფიქსირებული სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად შეცვალოს სკოლის სტუქტურის სქემა-ონოგრამა. დაფიქსირებული **ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში**.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები მიემართება და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის წესდება;
- სკოლის შინაგანაწესი;

- სკოლის დებულება;
- სკოლის სტრუქტურა - ონოგრამა;
- სტრუქტურული ერთეულების მართვის დებულება.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დოკუმენტი "პერსონალის მართვის პოლიტიკა", რომელიც პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს აღწერს. ამასთან ერთად, პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესების აღმწერი რეგულაციები ჩაწერილია შინაგანაწესშიც. კერძოდ, მოცემულია შრომით ურთიერთობის წარმოშობასთან დაკავშირებული წესები: სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება; წახალისებისა და დისციპლინური წარმოების თავისებურებები, სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი. ყოველივე ის, რაც აღწერილი აქვს სკოლას, არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესის მე-7 მუხლში ჩაწეერილია, რომ „წინასწარ ცნობილი საპატიო მიზეზით, (ჯანმრთელობის გაუარესება, მძიმე ოჯახური გარემოებები ან სხვ.) სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, „გიმნაზიის" პედაგოგი/სხვა პერსონალი ვალდებულია განცხადებით მიმართოს ,,გიმნაზიის" დირექტორს დროებით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, ხოლო

საგანგებო სიტუაციაში, აცნობოს „გიმნაზიის“ დირექციას არაუგვიანეს ერთი საათისა, სამუშაოს დაწყებამდე“; და „პედაგოგის ,,გიმნაზიაში“ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაბამისი კათედრა ვალდებულია უზრუნველყოს ამ პედაგოგის გაკვეთილის ჩატარება. შემცვლელ პედაგოგს უნაზღაურდება შესრულებული სამუშაოს საფასური. პედაგოგის მიერ არასაპატიოდ გაცდენილი გაკვეთილი არ ანაზღაურება“. გიმნაზიას ეთხოვა ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, რაზეც სკოლამ აღნიშნა, რომ უახლოესი წარსულის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია მასწავლებელთა მხრიდან გაცდენა შენაცვლების ფაქტს, ამიტომ არ აქვთ ასეთი მტკიცებულება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ კონკურსის გამოცხადების პრაქტიკული საქმიანობის დასადასტურებლად გადმოგზავნილია მასწავლებლის ვაკანსიის გამოცხადების შედეგად საკონკურსო კომისიის ოქმები რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ სკოლას ვაკანსია გამოცხადებული აქვს “მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.
ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გადამოწმდა პირადი საქმეები, რომლებიც შეიცავენ მათი განათლების ან/და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა აუცილებელ დოკუმენტებს, მათ შორის “სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ნასამართლობის შესახებ” და „ნასამართლეობის შესახებ“ ცნობებს. აღმოჩნდა, რომ ყველა თანამშრომელს მოწესრიგებული აქვს პირადი საქმე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებული მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, მათი კვალიფიკაციები რეგულირებადია და სახელმწიფოსგანაა დადგენილი, ასევე რეგულირებადია და დაკმაყოფილებულია ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას, ვიზიტის დროს, ეთხოვა დანარჩენი თანამშრომლების კვალიფიკაციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად წარმოედგინა რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დანარჩენი თანამშრომლების კვალიფიკაციების დადგენა იქნებოდა შესაძლებელი. სკოლამ განაცხადა, რომ გადმოაგზავნიდა ვიზიტის დროს გადმოსაგზავნ დოკუმენტებთან ერთად, თუმცა სკოლამ ვიზიტის დროს გადმოგზავნილ დოკუმენტებში გადმოაგზავნა „თანამდებობრივი ინსტრუქციები“, რომელიც დამტკიცებულია ვიზიტის თარიღით (N2/31, 14.05.2024), და რომელშიც **არ არის თანამდებობის შესაბამისი კვალიფიკაციები აღწერილი, ამდენად შეუძლებელია დადგენა დაკავებული თანამდებობები შეესაბამება თუ არა მოთხოვნილ კვალიფიკაციას**. <u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა რომლის თანახმადაც</u>

<u>დაწესებულებას დაგეგმილი და უკვე განხორციელებული აქვს პერსონალის კვალიფიკაციების აღმწერის შექმნა. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამის მტკიცებულება, ამიტომ **ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში**</u>

5. სკოლის ორგანიზაციულ მოწყობაში არის სტრუქტურული რგოლები (პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა) რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. ამასთან ერთად „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში მოცემულია რეგულაცია თანამშრომელთა მოტივირებას შეეხება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

„პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში

სკოლის შინაგანაწესი;

პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების თანახმად ახორციელებს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის ფარგლებში ხდება საჭიროებათა გამოვლენა და განმავითარებელი შეფასების მიცემა. სკოლამ წარმოადგინა „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“ და გაკვეთილზე დასწრების შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა თანამშრომელთა შეფასებისა და საჭიროებათა დადგენის მიზნით სკოლის „პერსონალის მართვის დოკუმენტის 29-ე მუხლში ნათქვამია, რომ „სკოლაში პერსონალის შეფასების მეთოდოლოგია, პროცედურა და ადმინისტრირების მექანიზმი მუშავდება სკოლის და პერსონალის საჭიროებათა გათვალისწინებით“, მაგრამ არც მექანიზმი და არც სხვა პერსონალის შეფასების მტკიცებულება სკოლას ვიზიტამდე არ წარმოუდგენია, ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წარმოადგენდა ორივე მათგანს, თუმცა „ვიზიტის დროს“ გადმოგზავნილ დოკუმენტებში ისინი არ მოიძებნება, **აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მასწავლებლების ნაწილში, ხოლო სხვა თანამშრომლების ნაწილში დაკმაყოფილებული არ არის.** <u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებას დაგეგმილი და</u>

განხორციელებული აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების შემუშავება. სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი, რომელშიც განახორციელა შესაბამის ცვლილება და დოკუმენტის მე-18 და მე-19 მუხლში გაწერილია შესრულებული სამუშაოს შესრულება და თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, წარმოდგენილია შესაბამისი ბრძანებაც. აქედან გამომდინარე **ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**

2. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას, მათი პროფესიული განვითარების გეგმა სკოლამ არ წარმოადგინა. ვიზიტის დროს სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოადგენდა მასწავლებელთა და სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების გეგმას, მაგრამ ვიზიტის დროს გადმოგზავნილ დოკუმენტებში ისინი არ იძებნება. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების გეგმის მექანიზმების შემუშავება. აქტივობის განხორციელების ვადაა 07.06.2024-24.06.2024. რადგან არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლას არ გადმოუგზავნია აქტივობის შესრულების შესაბამისი მტკიცებულება, და გადმოგზავნის მომენტისთვის ვადაც არ გასულა, ამიტომ **ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.**

3. პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებით სკოლამ მხარდამჭერ აქტივობად დაასახელა ინფორმაციების დროული მიწოდება ტრენინგების ან/და სხვა პროფესიული განვითარების ხელშემწყობ აქტივობების შესახებ, ასევე ტრენინგზე წასული თანამშრომლისთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკის შემუშავება. ასევე, პროფესიული განვითარების მიზნით მოწყობილი სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში ხელშეწყობა და ატერიალური რესურსით დახმარება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის მე-13 მუხლით აღწერილია ახალ თანამშრომელთა ინტეგრაციის წესი. წესის მიხედვით ინტეგრაციის პროცესში ჩართულია დირექტორი, მოადგილე, კათედრის ხელმძღვანელი (თუ ახალი თანამშრომელი მასწავლებელია), სამეურნეო ნაწილის მენეჯერი, უშუალო ხელმძღვანელი. თითოეული მათგანი თავისი კომპეტენციის მიხედვით ახალ თანამშრომელს აცნობს შინაგანაწესს, შრომის უსაფრთხოების წესებს, სხვა თანამშრომლებს, სამუშაო გარემოს, გადასცემს საჭირო ნივთებსა და ტექნიკას (საჭიროების მიხედვით).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. პერსონალის პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივებისთვის სკოლას გათვალისწინებული აქვს წახალისების სისტემა შინაგანაწესში და ასევე პერსონალის მართვის დოკუმენტში გათვალისწინებულია თანამშრომელთა მოტივირება, რომელიც ითვალისწინებს როგორც შინაგან მამოტივირებელ საშუალებებს, ასევე გარეგანს, მათ სორის ხელფასის გაზრდას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი;
- შინაგანაწესი;
- გაკვეთილებზე დასწრების მასალები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“. დოკუმენტი მოიცავს სხვადასხვა პროცესებს და მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესსაც, რომელიც მოიცავს შემდეგ ქვეპროცესებს: ა) გიმნაზიის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამუშაო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. ამასთან ერთად სკოლას განსაზღვრული ყავს ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. დოკუმენტში „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, სკოლას იდენტიფიცირებული აქვს სკოლის ძირითადი, დამხმარე და მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები. თითოეული მათგანი ჩაშლილია ცალკე პროცესებად, რომელსაც მოიცავს. მათგან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია „ხარისხის უზრუნველყოფის პროცესზე“, რომელიც მოიაზრება, როგორც ძირითადი საქმიანობის შემადგენელ პროცესად და რომელიც ჩაშლილია კიდევ ქვეპროცესებად (იხ წინა ინდიკატორის აღწერა), რომლებიც დეტალურადაა აღწერილი. ამ დოკუმენტში სხვა პროცესები ასე დეტალურად აღარ არის აღწერილი. თუმცა, სასკოლო სასწავლო გეგმა აღწერს ძირითად საქმიანობას. გარდა ამისა, სკოლის წესდებაში, შინაგანაწესში, სტრუქტურული ერთეულების დებულებაში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებით აღწერილია პროცესები და აქტივობები,

რომლებიც მოიცავს როგორც მმართველობით, ასევე დამხმარე პროცესებს. ფაქტიურად სკოლას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს „განცხადებებისა და საჩივრების განხიკლვის წესი“, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი განცხადებებისა და საჩივრების წარდგენის წესი, ვადები, განხილვის თავისებურებები. წესში მოცემულია დისციპლინური გადაწყვეტილებების, მასწავლებელთა ვაკანსიის დროს მიღებული გადაწვეტილებების, თანამშრომელთა/მოსწავლეთა/მშობელთა უფლებეის დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესები. “სტრუქტურული ერთეულების მართვის დებულებაში“ დირექტორის სხვა ფუნქციებთან ერთად ჩაწერილია, რომ განიხილავს საჩივრებს და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს“, გარდა ამისა, სკოლის დებულებით განსაზღვრულია, რომ დირექტორისა და დისციპლინური კომიტეტის მიღებულ გადაწყვეტილებებს დისციპლინურ სახდელების დაკისრებასთან დაკავშირებით განიხილავს გიმნაზიის რექტორი. ამასთა ერთად, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების წესი მოცემულია გამოცემულ აქტებში და ნათქვამია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, ერტი თვის ვადაში შეიძლება აქტის გასაჩივრება ადგილობრივ საქალაქო სასამართლოში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, რომელსიც აღწერილია სასკოლო საზოგადოების თითოეული ფენის უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“;
- „განცხადებებისა და საჩივრების განხიკლვის წესი“;
- “სტრუქტურული ერთეულების მართვის დებულება“;
- სკოლის დებულება;
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის 25-ე მუხლში აღწერილია თანამშრომელთა ინფორმირების წესი, რომლის მიხედვითაც სკოლის გადაწყვეტილებები თანამშრომლებს ეცნობებათ თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრით, უშუსლო გაცნობით (რასაც ხელმოწერით ადასტურებს თანამშრომელი) ან/და ინფორმაციის, დოკუმენტის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით. ასევე უზრუნველყოფილია გამოცემული ბრძანებების იმ თანამშრომლებისთვის გაცნობა, ვისაც უშუალოდ უკავშირდება კონკრეტული ბრძანება. სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ვიზიტის დროს, განთავსებული იყო სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც სწორედ თანამშრომლებისთვის იყო განკუთვნილი. რაც შეეხება უკუკავშირის მიღებას მშობელთა კრებებზე, როგორც დასწრებით ფორმით, ასევე სოციალური ქსელის მესენჯერ ჯგუფებში. ასევე წარმატებით გამოიყენება სატელეფონო ინფორმირების ხერხი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ დისციპლინურ კომიტეტში ჩართულია მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი; სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური საბჭო, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; მოსწავლეთა თვითმმართველობა, სადაც მოსწავლეები თავიანთ წარმომადგენლებს ირჩევენ; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. გარდა ამისა სკოლამ სტრატეგიული დაგეგმის მეთოდოლოგიის მიხედვით შექმნა სამუშაო ჯგუფი, სადაც ასევე სასკოლო საზოგადოების ყველა წევრია თავმოყრილი (მასწავლებელი, ადმინისტრაცია, მშობელი და მოსწავლე). ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ბძანებები დისციპლინური კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- პედსაბჭოს ოქმი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ წარმოადგინა სამსახურიდან მიღებული წერილი (07/02/2024 *MIA12400366717*).

სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სახანძრო სამსახურის მიერ სკოლის შემოწმების ორი მიწერილობა (დასკვნა). პირველი მიწერილობა 2024 წლის 23 იანვრითაა დათარიღებული და დასკვნაში წერია, რომ „ობიექტი არ შეესაბამება მოთხოვნებს“. მეორე მიწერილობა 2024 წლის 28 თებერვლისაა და აღნიშნულ დასკვნაში ფიქსირდება ობიექტის „შესაბამისობა“ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან. დასკვნასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სკოლის სხვენის ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სკოლამ ასევე წარმოადგინა დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლის „შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მისი ექსპლოატაცია უსაფრთხოა“

სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და ამ მიმართულებითაც უზრუნველყოფს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს დაგეგმილი აქვს სკოლის შენობაში რისკების შეფასება და თანამშრომლებთან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინსტრუქტაჟების განხორციელება. ვიზიტის პერიოდისთვის განხორციელებული ჰქონდა ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი. სკოლამ წარმოადგინა ამ ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი. გარდა ამისა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა წარმოადგინა სხვადასხვა სახის უსაფრთხოების წესების დასამტკიცებლად გამზადებული დოკუმენტები, რომელთა დამტკიცებასაც გეგმავდნენ უახლოეს მომავალში. დასამტკიცებელ დოკუმენტებს შორის იყო პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესიც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას ჰყავს ექთანი და აქვს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია 2022 წლის 21 მარტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნების თანახმად. ექთანი თავის კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს ჟურნალებს ზემოაღნიშნულ ბრძანებაში წარმოდგენილი დანართების შესაბამისად. ამავე ბრძანების რეკომენდაციების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული “ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობებით” განსაზღვრულ ძირითად პროცედურებს ითვალისწინებს. სკოლას განემარტა, რომ თუ მათი დოკუმენტი „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ მინისტრის 06/ნ ბრძანების მოთხოვნითაა შექმნილი, მაშინ ის საჭიროებს სამინისტროსთან შეთანხმებას ამავე ბრძანების დანართის პირველი მუხლის, მე-4 პუნქტის საფუძველზე ან სკოლას ეთხოვა წარმოედგინა სხვა დოკუმენტი, რომელიც სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას დაარეგულირებდა. სკოლამ ვერ წარმოადგინა ვერც შეთანხმების წერილი და, მით უმეტეს ვერც შეთანხმებული დოკუმენტი, თუმცა გამოთქვა მზაობა რომ ამ საკითხს მოაწესრიგებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ტერიტორია შემოღობილია კაპიტალურად, რითაც უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ამის გარდა სკოლა აღჭურვილია ვიდეომონიტორინგის სისტემით, მათზე განთავსებულია ვიდეომეთვალყურეობის გამაფრთხილებელი ნიშნები. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლის შენობის შიდა სივრცის სრულად დაფარვისთვის საჭირო იყო კიბის უჯრედების აღჭურვა კამერებით. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და დაიწყო კამერების მონტაჟიკიბის უჯრედებში, მაგრამ ვიზიტის დასრულებისთვის მონტაჟი არ იყო დასრულებული. სკოლას ეთხოვა, სხვა დოკუმენტებთან ერთად, რომელსაც ვიზიტის მინმდინარეობისას გადმოაგზავნიდა ცენტრში, გადმოეგზავნა ახლად შეძენილი კამერების შეძენა/დამონტაჟების მტკიცებულება, მაგრამ სკოლამ რატომღაც არ გადმოაგზავნა აღნიშნული მტკიცებულებები. სკოლას არ ჰყავს მანდატური, მაგრამ „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულების“, შესაბამისად სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ტერიტორიაზე გარეშე პირთა შემოსვლა აღირიცხება ვიზიტორთა ჟურნალში. **სკოლას ეძლევა**

რჩევა: „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ შეათანხმოს სამინისტროსთან; არგუმენტირებულ პოზიციის ცენტრისთვის მიწოდებულ მასალებს დაურთოს კიბის უჯრედში კამერების დამონტაჟების მტკიცებულება

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულების“, ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა”. დებულების მოთხოვნების განხორციელებამ, უნდა უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. დეკლარილებული გარემოს შექმნას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სკოლაში გამოკრულია მანდატურის ფსიქო-სოციალური სამსახურის ცხელი ხაზის, სახალხო დამცველის, განათლების სამინისტროს, მანდატურის სამსახურის ცხელი ხაზის ნომერები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ მოიცავს სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის მექანიზმებს, რომლის მიხედვითაც აღწერილია სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების ყოველდღიური, ყოველკვირეული და ყოველთვიური სტანდარტული მოთხოვნები. რაც სეეხება მონიტორინგს, ხორციელდება კვირაში სამჯერ და ახორციელებს მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი, დასაც აღრიცხავს სპეციალურ ფორმაში და ადასტურებს ხელისმოწერით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები“, რომელიც განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ტერმინოლოგიას, მიზნებს, სუბიექტებს და მათ უფლებებს, მონაცემთა დამუშავების სახეებს, მონაცემთა დაცვას და სხვა რეგულაციებს, რომლებიც მონაცემთა დაცვის შესახებ კანონითაა განსაზღვრული, მათ შორის ვიდეომონიტორინგის მიზნებსა და გამაფრთხილებელ ნიშნებს.

გარდა ამისა, „პერსონალის მართვის პოლიტიკის“, დოკუმენტში განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის წესები. კერძოდ გაცხადებულია, რომ სკოლა-გიმნაზია ორიენტირებულია შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც გარანტირებული იქნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და დაცული იქნება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესები. პერსონალურ მონაცემთა ბაზა დაცული იქნება მესამე პირებისთვის უკანონო წვდომისგან; არ დაუშვებს პერსონალურ მონაცემთა გადაცემას თანამშრომელთა თანხმობის გარეშე, გარდა კანონით განსაზღვრული

შემთხვევისა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა პერსონალთან და მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებულია თანხმობები პერსონალურ მონაცემების დამუშავებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს მისთვის ცნობილი ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება ზიანს მიაენებს დამსაქმებლის ინტერესებს, მათ შორის პერსონალირი ხასიათის ინფორმაცია. სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. გარდა ამისა „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ მოიცავს ინფორმაციული უზრუნველყოფის დაცვის მექანიზმებს და მასში მოცემულია საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან მიმართებით ინფორმაციის დაცვის მექანიზმებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

8. „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“ სკოლას დამტკიცებული აქვს 2024 წლის 23 იანვარს. შესაბამისად ვიზიტის პერიოდისთვის ჯერ არ იყო დასრულებული ციკლი/სასწავლო წელი და ბუნებრივია არ იყო დასრულებული უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროცესების შეფასება, თუმცა, როგორც სკოლის წარმომადგენელთან და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრებით გაირკვა, დაწყებული აქვთ მექანიზმების მოქმედებაზე დაკვირვების პროცესი და ფიქრობენ, რომ მიღებულ შედეგებ გამოიყენებენ ამავე მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა“,
- შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი გეგმის შეთანხმებაზე (07/02/2024 *MIA12400366717);
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი N 8, 23.01.2024;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი N81, 28.02.2024;
- სკოლის შენობის სხვენის დამუშავების დასკვნა 09.02.2024;
- დასავლეთ საქართველოს რეგიონალური ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N5001517824, 14.03.2024;
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები“;

- ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალი;
- „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დებულება“.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ -,საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია ფუნქციონირებს ერთ მისამართზე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კახათში. შენობის თხოვების უფლებით ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის მიხედვით (საკადასტრო კოდი: 43.17.02.436), მესაკუთრეა საქართველოს საპატრიარქო, ხოლო სკოლა მონათხოვრეა არსებობის ვადით. საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი ფართით 1378.3 კვ.მ და მასზე არსებული შენობა – 2 სართულიანი, საერთო ფართით 793.7 კვ.მ., საჯარო რეესტრის ამონაწერი განახლებას საჭიროებს რადგან ამონაწერში არ არის ასახული სკოლის ამჟამინდელი დასახელება. საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება სკოლის ძველი სახელი. როგორც აღინიშნა 1.1.1.4.ინდიკატორში სკოლამ სახელი შეიცვალა 15.02.2024 წელს. **სკოლას მიეცა რჩევა:** განახორციელოს ახალი სახელის შესაბამისი ცვლილება საჯარო რეესტრის ამონაწერში

სკოლის შენობაში სულ 12 საკლასო ოთახია. გარდა საკლასო ოთახებისა სკოლაში არის კომპიუტერული კლასი, ქიმიის, ბიოლოგიის ფიზიკის ლაბორატორიები ცალ-ცალკე (მათგან ერთი ინტეგრირებულია საკლასო ოთახთან), სააქტო დარბაზი, რომელიც ინტეგრირებულია სპორტულ დარბაზთან, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, სველი წერილები და სხვა დამხმარე ოთახები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი; რომელშიც მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; ასევე კომპიუტერული ლაბორატორიებით სარგებლობის წესი, რომლებშიც ჩაწერილია რესურსებით სარგებლობის თანასწორუფლებიანობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1231 ერთეულ მხატვრულ ლიტერატურას და სასკოლო სასწავლო გეგმით შერჩეულ სახელმძღვანელოებს. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით - ბეჭდითა და საინვენტარო ნომრებით სათანადო გვერდზე. ისინი დალაგებულია ანბანურად. საინვენტარო წიგნი არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაზე გამოკურულია სამუშაო საათები, ბიბლიოთეკაში - ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

მკითხველებისთვის შექმნილია ფორმულარები. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ითავსებს საქმისმწარმოებლის ფუნქციებსაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, მოწყობილია პანდუსები შიდა კიბეებზე, ადაპტირებულია სველი წერტილი და ვიზიტის პერიოდისთვის გამოყოფილი იყო ოთახი რესურსოთახის მოსაწყობად. სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, ყველასთვის ერთნაირად და თანაბრად. სკოლის ეზოში არის მოქმედი ეკლესია, რაც სკოლის მოსწავლეთა და მშობელთა, ასევე პერსონალის არაფორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბების კიდევ ერთი საშუალებაა. სკოლა ხშირად სტუმრობს ცნობილი ადამიანებს, ეწყობა გამოფენა-გაყიდვები და შემოსულ თანხას გადასცემენ რუხის მოხუცთა თავშესაფარს. ყოველივე ეს ემსახურება სკოლის ინფრასტრუქტურის სოციო-კულტურული სივრცის ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი 43.17.02.436;
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას. სკოლაში არის 9 კომპიუტერი და 2 ბუკი. სკოლას აქვს პრინტერები, ქსეროქსები და პროექტორი. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება, როგორ სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა - კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიებით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესს. სკოლას აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც სკოლას გარდა საჭირო/შესაძენი კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობისა, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების განრიგიც აქვს ჩაწერილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ციფრული განვითარების გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს "საქმისწარმოების წესი", სკოლას ამ წესით განსაზღვრულია სამი ტიპის დოკუმენტ: ა) შემოსული ბ) გასული; გ) შიდა დოკუმენტაცია. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რომელ ტიპს განეკუთვნება და აღწერილია მისი რეგისტრაციის წესი. სკოლის დირექტორი გამოსცემს ბრძანებებს, რომლების დაჯგუფებულია საერთო და საკადრო ბრძანებებად. მათ გარდა, სკოლა არეგისტრირებს შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას; შრომით და მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს და მოსწავლეებს ანბანურ წიგნში. სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენება აქტიურად, კერძოდ სკოლას საკომუნიკაციოდ აქვს ელექტრონული ფოსტა და ვებ-გვერდი, ასევე სოციალური ქსელი. კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოიყენება სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულის მიერ, რასაც მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ციფრული ფორმატიც ადასტურებს, თუმცა სკოლის მიერ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა არ/ვერ გამოიყენება მისი ხელმისაწვდომობის შეუძლებლობის გამო. ამის გამო ინდიკატორის მოთხოვნა ვერ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად. <u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებას დაგეგმილი და განხორციელებული აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით სარგებლობის უზრუნველყოფა. წარმოდგენილია ხელშეკრულება შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან (ს/კ 404680939), რომლის მოქმედების ვადაა 31.05.2025, მომსახურებით სარგებლობის მიღება-ჩაბარების აქტი, ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი და წარმოდგენლილია ლინკი. სკოლას</u>

ეძლევა რჩევა: ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ გააგრძელოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ვინაიდან, სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის დოკუმენტაცია, **ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო school.emis.ge სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელებაა "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია". პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ იმ უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები. მაგალითად ყოველწლიურად სკოლის ბუღალტერი სკოლის ბალანსს წარუდგენს დამფუძნებელს. ასევე, მოთხოვნილ ინფორმაციას აწვდის ადგილობრივ რესურსცენტრს, სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების წესი;
- სკოლის ელექტრონული ფოსტა: kaxatissasuliero@gmail.com
- სკოლის ვებგვერდი: https://kakhatisgimnazia.ge/;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100067476205009
- სკოლის პროფილი მართვის საინფორმაციო სისტემაში.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, რომელიც, სკოლის შესახებ ზოგად ინფორმაციას იძლევა. ვებ გვერდზე არის ინფორმაცია სკოლასთან საკომუნიკაციო საშუალებების შესახებ. მშობლებთან და მოსწავლეებთან კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება სკოლის სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. გარდა ამისა დამრიგებლებს მშობლებთან აქვთ სატელეფონო ან/და სოციალური ქსელებით კომუნიკაცია. საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სკოლის საინფორმაციო დაფა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების და არაფორმალური განათლების შესახებ ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას მათგან უკუკავშირის მისაღებად იყენებს, ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, Forms-ის კითხვარს, სატელეფონო კავშირებს და სხვა ელექტრონული არხების საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც ახალი შექმნილია და ეტაპობრივად ახლდება ინფორმაციები. ვებ გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე - იმ ენაზე, რა ენაზეც სკოლა ახორციელებს სწავლებას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ვებ გვერდზე ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაცია ნაწილობრივაა ასახული. კერძოდ ასახულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი გეგმა, საკონტაქტო ინფორმაცია. თუმცა არ არის ასახული პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. ამის გამო ინდიკატორის მოთხოვნები სრულად დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება. <u>სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებას დაგეგმილი და განხორციელებული აქვს ვებ-გვერდზე ინდიკატორით მოთხოვნილი ინფორმაციის ატვირთვა, გარდა ამისა სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ვებ-გვერდზე პასუხისმგებელი პირი. აქედან გამომდინარე **ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი: https://kakhatisgimnazia.ge/;
- სკოლის სოციალური გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100067476205009
- სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის მიერ. ბიუჯეტით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის უზრუნველყოფა (განხორციელება). მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია კომპიუტერული ტექნიკის და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შეძენა, ასევე ეზოს გამწვანება. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება დირექტორის მიერ. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება ხდება მიმდინარე წლის ივნისში, ბიუჯეტის პროექტი უნდა შეთანხმდეს დამფუძნებელთან (დამფუძნებლის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ნაწილში). ბიუჯეტის დამტკიცება ხდება დეკემბერში. საანგარიშო წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც ცნობილი ხდება ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა, ცვლილება შედის ბიუჯეტში. კორექტირებული ბიუჯეტი იგზავნება დამფუძნებელთან. საჭიროების შემთხვევაში ხდება მასში ცვლილებების შეტანა. ფინანსების განკარგვა ხდება დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. სკოლა ანგარიშვალდებულია დამფუძნებელთან და დაგეგმვისას ითვალისწინებს წინა წლების გამოცდილებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დამტკიცებული და კორექტირებული ბიუჯეტები;
- 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა;
- ბიუჯეტის დამტკიცებისა და სცვლილებების შეტანის ბრძანებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, რომელიც დამტკიცებული სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის თებერვალს, ბრძანება N2-11. ამ დოკუმენტის და შინაგანაწესის

მიხედვით სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, სარგებლობენ უფლებებით, რომელიც გარანტირებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. მათ შორიასაა გამოხატვის, რწმენის, შეკრების და აკადემიური თავისუფლება. ასევე პირადი საიდულების უფლება, უფლება მიიღონ საჯარო ინფორმაცია, სასკოლო რესურსებზე წვდომის უფლება, სამართლიანი მოპყრობის უფლება. დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია დისციპლინის საკითხები, მათ შორის გასაჩივრების ეფექტური სისტემაცაა. დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც სასკოლო საზოგადოებისთვის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფუნქციის განმხორციელებელია. სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მშობელთა კრების ოქმი, საიდანაც ჩანს, რომ მსობელთა უფლება მეორე უცხოური ენის ერჩევასთან დაკავშირებით, განხორციელებულია - კრებაზე მშობლებმა მე-5 კლასში სასწავლად აირჩიეს გერმანული ენა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“, სასკოლო სასწავლო გეგმა, ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, გასაჩივრების წესი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. გარდა ამისა „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ მიხედვით მოსწავლეებს მათი უფლებების შესახებ ეცნობებათ ასაკობრივივი თავისებურების გათვალისწინებით, ვიზუალიზაციის საშუალებებით და არა კანონებისა და წესების ერთობლივი ჩამონათვალით. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მისი უფლებების შესახებ ელექტრონულად ეცნობება სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის ან ადმინისტრაციის მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. სკოლის მხარემ გვაჩვენა და ვიზიტის დროს გადმოაგზავნა კიდეც მოსწავლის მშობელთან/ მის კანონიერ წარმომადგენელთან დაასადები ხელშეკრულების ნიმუში და გააკეთა განაცხადი, რომ მომავალ სასწავლო წელსაც დაიდება ხელშეკრულება სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/ მის კაანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მოსწაბვლის მშობელთან, მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის N2-10 ბრძანებით. დოკუმენტი შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. მობილობა - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებით, საფეხურის დაძლევა - ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. როგორც წინა ინდიკატორში აღინიშნა, სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები, ის იცავს აღნიშნულ წესს. სკოლამ წარმოადგინა თითოეული აქტივობის შესაბამისი ბრძანებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლას მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის დამატებით მომსახურეობას წრეების და კლუბების სახით. სასკოლო სასწავლო გეგმა და კლუბების დებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს ვებ გვერდის ან/და სოციალური ქსელის ან/და სკოლის საინფორმაციო დაფის, ან/და პერსონალის მეშვეობით. გავრცელებული ინფორმაცია არ არღვევს კანონმდებლობას, არ არის დისკრიმინაციული, გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ინფორმაცია არის განახლებადი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კლუბების წესდებები;
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება მოსწავლის ამორიცხვის შესახებ
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ;
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ
- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანება საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ

- ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის დირექტორის ბრძანებამოსწავლის ჩარიცხვის შესახებ
- ხელშეკრულების ნიმუში მშობელთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული არ აქვს „მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი“, რომელშიც წინასწარ დეკლარილებული იქნებოდა ის აქტივობები, რომელსაც სკოლა ახორციელებს ახალი მოსწავლის სკოლაში მიღებისას ან სხვა სკოლიდან გადმოსვლისას, რაც გაირკვა სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ახორციელებს ასეთ აქტივობებს, მექანიზმების არ ქონის გამო ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებას დაგეგმილი და განხორციელებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის შემუშავება. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტი და მისი დამტკიცების ბრძანება. აქედან გამომდინარე **ხარვეზი გადავიდა სრულ შესაბამისობაში.**

2. როგორც წინა ინდიკატორის აღწერაში აღინიშნა სკოლას არ აქვს რაიმე წესი მოსწავლის სასწავლო გარემოს ადაპტაციის აქტივობების ასაღწერად, თუმცა ახორციელებს პირველკლასელთა და მობილობით გადმოსულ მოსწავლთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებს, რაშიც აქტიურად არიან ჩართული დამრიგებლები. პირველ კლასელთა ადაპტაციის ხელშესაწყობად დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებამდე მართავს მშობლებთან შეხვედრას და ამცნობს სკოლაში მოქმედ წესებსა და დაგეგმილ ღონისძიებებს. სკოლამ წარმოადგინა ამ შეხვედრის ოქმი.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას დამრიგებლის მუშაობის ფუნქციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების მხარდაჭერა და მშობლის ინფორმირების მექანიზმები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია რომ მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ ექსტერნის ან საშემოდგომო გამოცდა სკოლა გაუწევს სათანადო კონსულტაციებს. სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა. მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისათვის სკოლა აკეთებს შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზებს, რის შემდეგაც გამოვლენილ საჭიროებებზე განახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს/კონსულტაციებს, რაც დაეხმარება მოსწავლეს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. განათლების შეუზღუდავად მიღებისათვის სკოლა მოსწავლეებს უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. კერძოდ ადმინისტრაცია მოსწავლეებისთვის ქმნის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემოს. მოსწავლეს ეძლევა თვითრეალიზების შესაძლებლობა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შინ სწავლების პროცედურები და სკოლის მხრიდან გასატარებელი ღონისძიებები. სკოლის განცხადებით, ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა

მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს. მხარს უჭერს კლუბების შექმნის ინიციატივებს და შექმნილია კიდეც კლუბები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა ფუნქციონირებს და აქტიურად არის ჩართული სასკოლო პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში მოქმედებს კლუბები და დამტკიცებული აქვს კლუბების დებულებები. სოციალურ ქსელში და ვებ გვერდზე უხვად არის კლუბების მუშაობის ამსახველი მასალები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში შეიქმნა კლუბი „მერანი“. სკოლამ წარმოადგინა თვითმმართველობის შეხვედრის ოქმი ამ კლუბის შექმნის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლში ხშირად ხდება სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირების მიღება, როგორც ფორმალურ გარემოში, ისე არაფორმალურ გარემოში. ასეთი უკუკავშირი აღიწერა სტრატეგიული დაგეგმვის ინდიკატორებში, ასევე აქტივობა - მე-5 კლასსი მეორე უცხოური ენის არჩევასთან დაკავშირებით, როცა მოსწავლის მშობელთა კრებაზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე არჩეულ იქნა ენა, რომელსაც მოსწავლეები ისწავლიდნენ მეორე უცხოურ ენად. პირველი სემესტრის სადამრიგებლო ანგარიშებში საუბარია სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა აქტიური ჩართვის და მათგან მიღებული უკუკავშირების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- თვითმმართველობის ოქმი;
- დამრიგებლის პირველი სემესტრის ანგარიშები.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მემორანდუმი აქვთ გაფორმებული მემორანდუმები საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრთან; კავკასიის უნივერსიტეტთან; მართლმადიდებლურ ორგანიზაცია „მრწამსთან“. თითოეული ორგანიზაციასთან მიმართებით ხდება აქტიური ურთიერთობების განხორციელება. ხან ისინი მოდიან სკოლაში, ხან სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ მათ. გარდა ამისა, სკოლას სტუმრობენ თავის პროფესიის გამორჩეული წარმომადგენლები. ასეთი იყო საბუნებისმეტყველო კათედრის ინიციატივით განხორციელებული შეხვედრა სახელწოდებით „ხელები მშვიდობისთვის“, რომლის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს მასტერკლასი ჩაუტარდათ ჭრა-კერვის, ქარგვისა და ხეზე ლაზერით ჭრის მიმართულებით. სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ ზუგდიდის ბიბლიოთეკაში განხორციელებულ აქტივობას თემით „ადამიანის ანატომია“, რომელსაც უძღვებოდნენ ექიმ/ქირურგები. ასევე ეწყობა შეხვედრები მშობლებთან და საპატრიარქოს წარმომადგენლებთან, პირველ სემესტრში მოსწავლეებს შეხვედრა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, ხშირად აწვდან მოსწავლეებს ინფორმაციას პროფესიაზე. ასევე ხშირად აწყობენ სხვადასხვა პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენლებთან შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან. გარდა ამისა დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს აცნობენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ცდილობს განხორციელებული მომსახურეობის შესახებ მიიღოს უკუკავშირი მშობლებისგან და მოსწავლეებისგან. ამის შესახებ ვისაუბრეთ სტრატეგიული დაგეგმვის დროს კვლევისას მიღებულ უკუკავშირებში, მშობელთა კრებების დროს უშუალო კომუნიკაციის დროს, ასევე არაფორმალურ შეხვედრების დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ გაფორმებული მემორანდუმები;
- შეხვედრების ამსახველი ვიზუალური მასალა;
- სადამრიგებლო პროგრამები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, სასკოლო სასწავლო გეგმაში, განსაზღვრული აქვს ინკლუზიური სწავლების პრინციპები, რომლებიც შესაბამისია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანების მოთხოვნების და რომელშიც განსაზღვრულია სსსმ მოსწავლედ აღიარების პრინციპები და ეტაპები, ინდგეგმის შემუშავების ვადები და ჩართული მხარეები და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლეები, ამდენად მხოლოდ სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულ ინკლუზიურ განათლებაზე დაფუძნებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის წინსვლა განვითარებისთვის სასკოლო საზოგადოების ჩართულობა მისთვის ინდგეგმების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურეობიდან მხოლოდ ტრანსპორტის მომსახურეობას სთავაზობს მოსწავლეებს. სკოლა მონიტორინგს უწევს, რომ სატრანსპორტო საშუალებას გავლილი ჰქონდეს შესაბამისი ტექნიკური დათვალიერება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, საგანმანათლებლო მომსახურებას. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები და წრეები: ეკო-კლუბი „კოდალა“; კლუბი - „ხელმარჯვე ოსტატები“; ქართული ცეკვის შემსწავლელი წრე; წრე - „ჩვენ შევიყვარებთ კითხვას“ - მოქმედებდა პირველ სემესტრში; გალობის შემსწავლელი წრე. თითოეულ წრეზე ანდა კლუბში ცართვა ნებაყოფლობითია და თითოეული მათგანი ემსახურება მოსწავლის განვითარებას მათი ინტერესების შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ მოსწავლეთათვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურეობები ხორციელდება უსაფრთო გარემოში და დაცულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ხელშეკრულება მძღოლთან;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი: დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2/18; 22 ნოემბერი, 2023 წ.). დოკუმენტში აღწერილია, რომ კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობით, გუნდურ პრინციპებზე დაყრდნობით. სასკოლო კურიკულუმს შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პოზიციები და პროცესში ჩართული მხარეები, დეტალურადაა განხილული მათი ფუნქცია-მოვალეობები, კურიკულუმის განვითარების პროცესში რეალური მონაწილეობა გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმირებასა და კონსულტირებას, არამედ ინტენსიურ თანამშრომლობასა და გამჭვირვალე ანგარიშვალდებულების სისტემის დაწესებას. სკოლის პრაქტიკაში სკოლო საზოგადოების ინტერესებისა და გამოცდილების შესწავლა ხორციელდება მათი გამოკითხვის (ანონიმური გამოკითხვა და /ან ფოკუსჯგუფები და/ან სასწავლო პროცესის შეფასების, დამრიგებლებისა და კათედრების ანგარიშების შესწავლა და ა.შ.) საფუძველზე. მშობელთა ინფორმირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი, მათ შორის, ჯგუფები სოციალურ ქსელში, ასევე, ხორციელდება უკუკავშირის გაანალიზება. კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. ვიზიტის დროს გასაუბრება შედგა სკოლის ყველა კათედრის წარმომადგენლებთან. ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის, დირექციის, მასწავლებლების ინტერესები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, თანამშრომლობას აქტიური სახე აქვს და კათედრის წევრების თანამონაწილეობით არის დაგეგმილი თემები, საკითხები, რომლებიც თემის ფარგლებში შეისწავლება საფეხურის შედეგების მისაღწევად, კომპლექსური დავალებები, ძირითადი და დამხმარე რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები. ასევე, კათედრის წევრები აჯერებენ მოსაზრებებს, თუ როგორ იმუშავეს მოსწავლეებმა შუალედურ მიზნებზე კომპლექსური დავალებებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, საგნობრივი კურიკულუმები), იკითხება და კათედრების წევრებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა კურიკულუმის შემუშავებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინება. სასკოლო სასწავლო გეგმა ემსახურება სკოლის მისიის მიღწევას, გეგმის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს სკოლის ხედვასა და ღირებულებებს, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს საქმიანობის პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყოფილია დაწყებითი საფეხურის მისია და საფეხურის მიხედვით დაგეგმილი ღონისძებები, (სააღდგომო გამოფენა-გაყიდვა, დედის დღესთან და დედაენის დღესთან მიძღვნილი ღონისძიებები, მხიარული სტარტები, ნახატების, თექის ნამუშევრების გამოფენა-დათვალიერება და ა.შ.), საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერესების დასადგენად სკოლა ატარებს გამოკითხვებს მშობლეთან, მასწავლებლებთან. აღსანიშნავია, რომ სპორტის კურიკულუმით განსაზღვრული კონკრეტული სახეობები მოსწავლეთა ინტერესების გათვალსიწინებით არის შერჩეული და დაგეგმილი, ასევე, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინება განხორციელდა საათობრივი ბადის ფორმირების პროცესში. ასევე, აღსანიშნავია, რომ იკვეთება კათედრებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკები (მაგ. ბუნებისმეტყველებისა და მუსიკის, ასევე, სახელმწიფო ენის ინტეგრირებით, ჩანს ტექნოლოგიების ინტეგრირება სასწავლო საგნებსა და ღონისძიებებში), ხორციელდება ერთობლივი პროექტები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას და სასკოლო პროექტებს სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებაზე. დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია ესგ-თი გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, გამომდინარე სკოლის მისიიდან, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად, კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და ქრისტიანულ ღირებულებებზე აღსაზრდელად. სკოლაში ესგ-თი გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებაა: 1. საღვთო სჯული - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით I-II კლასებში - 1/1საათი. III- VI კლასებში - 2/2საათი. ჩამოყალიბებულია წიგნის კლუბი „მარდები“, რომლის პროგრამაც და გაწეული სამუშაოებიც მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს. აგრეთვე, მოსწავლეთა ინტერესებისა და შემოქმედებითი უნარების გასააქტიურებლად ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე ფუნქციონირებდა წრე „ჩვენ შევიყვარებთ კითხვას“.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობის ვალდებულებას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხორციელდება სხვადასხვა პროცესების ანალიზი და ხდება ანალიზის შედეგების გათვალისწინება. მასწავლებლები ცდილობენ, სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. დამრიგებლები

საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან, ინდივიდუალურად აწვდიან ინფორმაციას და მათგან იღებენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. კრებაზე მოწვეულია თითოეული საგნის მასწავლებელი და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კრიკულუმებს, გამოთქვან მოსაზრებები. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით კურიკულუმების შემუშავების პროცესშია გასათვალისწინებელი მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები. მასწავლებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ერთ-ერთმა მშობელმა მიაწოდა ინფორმაცია მასწავლების სახლის მიერ გამოცხადებული სასკოლო კლუბების პროექტის შესახებ, პედაგოგებმა შეისწავლეს საკითხი და შედეგად, მშობლის ინიციატივით სკოლაში ჩამოყალიბდა კონკრეტული კლუბი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. გასაუბრებისას წარმოჩინდა, რომ საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები აცნობიერებენ კურიკულუმის შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობას უკუკავშირის მისაღებად. დასტურდება, რომ სწავლების მეთოდოლოგია და კოპლექსური დავალებების ბარათები გაზიარებულია მოსწავლეებთან, მშობლებთან მათგან მიღებული ზეპირი ან წერილობითი უკუკავშირის საფუძველზე ხორციელდება ანალიზი და საკითხის შეჯამება. სასკოლო კურიკულუმის გაზიარების მექანიზმებად გამოყენებულია: სკოლის სივრცე, ელექტრონული ფოსტა, პორტალი, სოციალური მედია, მესენჯერ ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები, რაც უზრუნველყოფს შემუშავებული კურიკულუმების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გამოკითხვის ფორმები;
- კათედრების ოქმები;
- დამრიგებლების ანგარიშები;
- კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სკოლის ვებ გვერდი;
- წიგნის კლუბის წესდება;
- საწრეო მუშაობის გეგმა (2023-2024 წლის პირველი სემესტრი).

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრინციპებს. ამავე დოკუმენტის შესაბამისად, საგნობრივ კათედრებს წარმოდგენილი აქვთ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები და დანართები, რითაც ხელს უწყობენ გრძელვადიანი მიზნის მიხედვით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, სავალდებულო სამიზნე ცნებების და სარეკომენდაციო თემების (დაწყებით საფეხურზე) შესაბამისად. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღწერეს, რომ სწავლებისას აქცენტი კეთდება შემოქმედებით პროდუქტზე, როგორიცაა: პოსტერი, დღიური, ტექსტის ანალიზი, დიალოგი, ესე, ანალიტიკური ესე. ირკვევა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება. აღნიშნულ შემოქმედებით პროდუქტებზე მუშაობა ააქტიურებს მოსწავლეთა შინაგან ძალებს და, ზოგადად, პიროვნულ განვითარებას ემსახურება. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შეფასების მაგალითები, სადაც წარმოდგენილი კომენტარები ხელს უწყობს მოსწავლის განვითრებას. ასევე, აღსანიშნავია, რომ უცხოურ ენებში სასწავლო პროცესში გათვალისწინმებულია პროექტული ტიპის აქტოვობები, როგორც ამას მოითხოვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა. მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. დაწყებითი საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას და შეესაბამება ცოდნის დონეს. გარდა ამისა, როგორც კათედრის ოქმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, მოსწავლეები ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და აქტივობებში, მაგლითად, ინგლისურ და გერმანულ ენაში დაწყებით საფეხურზე მოეწყო საშობაო პროექტი, ასევე, უცხოური ენის კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ვიქტორინაში. ასევე, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ერთვებიან ისეთ სასკოლო აქტივობებში, რომელიც გადის მდგრადი განვითარების 17 მიზანზე („დედამიწის კვირეული“, „მეორადი ქაღალდი“, თოჯინების შექმნა, სანთლების დამზადება და ა.შ.). თვალსაჩინოებები ინახება ლაბორტორიაში და საკლასო ოთახებში. გასაუბრების დროს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა დაანონსეს მიმდინარე ინტეგრირებული გაკვეთილები, ასევე, აღნიშნეს, რომ სურვილი აქვთ, მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი

აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. საგნებში კომპლექსური დავალების იდეები აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. მასწავლებლები მოსწავლის სასწავლო შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ მომდევნო გაკვეთილს, რისთვისაც აქტიურად ხდება შესასვლელი და გასასვლელი ბილეთების და ასევე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება. კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა, რა გამოუვიდათ კარგად და რას შეცვლიდნენ მეორედ რომ ასრულებდნენ მსგავს დავალებას. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები ნაცნობ და მოსწავლისათვის საინტერესო კონტექსტებს ეფუძნება რაც ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებს აქვთ მაღალი მზაობა, მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება მოსწავლეებთან კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს არაფორმალური განათლების ელემენტების გამოყენებაზე, მაგ. სკოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად აქვს სასკოლო პროექტი „დავიცვათ ბიომრავალფეროვნება“, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები და მოსწავლეები. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად სკოლა საგნობრივი სტანდარტების მიხედვით გეგმავს კურიკულუმებს, განსაზღვრავს გრძელვადიან სამიზნე ცნებებს, რომლებიც მუშავდება შეძლებისდაგვარად ყველა თემაში. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგები წარმოადგენს მასწავლებლებისათვის სამიზნე ნიშნულს, რომელსაც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს (საფეხურის დაძლევამდე) ავითარებენ და ყოველ მომდევნო სასწავლო წელს ხდება კონკრეტული შედეგების უფრო სიღრმისეულად დამუშავება. ასევე, სწავლებისას აქცენტი კეთდება ფუნქციურ კონტექსტებზე. სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, რესურსები, სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალების იდეები. თითოეულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით საჭიროების შესაბამისად გაწერილია ქვეცნებები, ქვესაკითხები, მტკიცებულების სახით კათედრებმა ასევე წარმოადგინეს შესრულებული დავალების ნიმუშები. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა: კურიკულუმებში „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“, უნდა შესწორდეს უზუსტობები. კერძოდ, „ჩვენი საქართველოს: V კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში „ქართლი“, სამიზნე ცნება „საზოგადოება“ - მეხუთე თემაში „აჭარა“ მითითებული უნდა იყოს სამიზნე ცნება „დრო“. ასევე, ამავე საგნის VI კლასის კურიკულუმში, მეექვსე თემაში „აფხაზეთი“ - მითითებული უნდა იყოს სამიზნე ცნება „დრო“. გარდა ამისა, „მე და საზოგადოების“ III და IV კლასების კურიკულუმებში, სასურველია, მითითებული იყოს სკოლის სრული სახელწოდება, ასევე, რესურსებში, სასურველია მიეთითოს სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა. „ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში“ დწყებითი საფეხურის კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში უნდა მიეთითოს, რომ მუშავდება სამივე სამიზნე ცნება, თემიდან გამომდინარე საკითხები კი გაიწეროს თითოეული თემის შესაბამისად. ასევე, სასურველია, კურიკულუმშივე გაიწეროს კომპლექსური დავალება, რომელშიც მოხდება სამივე ცნების დამუშავება. აქტივობების ნაწილში „ვარჯიშები ბურთით“, სასურველია, მიეთითოს რომელი სპორტის სახეობებია ნაგულისხმევი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. განსაზღვრულია რესურსის ტიპები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები/სერია; დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ); ბიბლიოთეკა, მუზეუმები, თეატრი, ისტორიული ძეგლები და სხვა დამატებითი ციფრული/ელექტრონული და მატერიალური რესურსები, საგნის სპეციფიკის შესაბამისად. თითოეული რესურსი მიზნობრივია და გათვალისწინებულია მოსაწავლეთა ასაკობრივი თავისებურება. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია პროექტორი, კომპიუტერი, სხვადასხვა მატერიალური რესურსი, როგორიც არის რუკები, გლობუსი, პოსტერები, რათა მოსწავლეები ადგილზე გაეცნონ კომპლექსური დავალების განსახორციელებლად საჭირო რესურსს და იქვე დაამუშაონ, რაც აუცილებელია სწავლის შედეგებზე გასასვლელად. წარმოდგენილი რესურსების გამოყენება დასტურდება სკოლის მიერ ექსპერტებისათვის მიწოდებული შესრულებული დავალებებით, პროექტებით და ა.შ. უცხოურ ენებში მასწავლებლები ცდილობენ ისეთი რესურსების შეთავაზებას, რომლებიც ოთხივე უნარში მოამზადებს მოსწავლეებს: წაკითხულის გააზრება, საუბარი, წერა და მოსმენის უნარი. მათემატიკის სწავლების მიზნით, გარდა სახელმძღვანელოებისა, გამოიყენება დამხმარე რესურსები: ხანის აკადემია, ვედეო-გაკვეთილები, MATH.GE-ს ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლათფორმები, თვალსაჩინოებები. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, სასწავლო და საკლუბო მუშაობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები (სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი, ასევე, არაფორმალური აქტივობები), მოსწავლეებს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში არის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორიები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას საკლუბო თუ საკლასო სამუშაოებში. შეჯამების სახით, კურიკულუმით გათვალისწინებული, სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური მიმართულება, სადაც გაწერილია ინკლუზიური მიდგომის სპეციფიკა, არსი და სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. უშუალოდ სასწავლო პროცესშიც გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს მასწავლებლები გამოკვეთენ მოსწავლის და ზოგადად კლასის საჭროებებს, რაზე დაფუძნებითაც იგეგმება კლასთან და მოსწავლესთან მუშაობა. დასახული მიზნების მისაღწევად, მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს ასარჩევად, ასევე, მოსწავლეებს საშუალება აქვთ, დავალებები წარმოადგინონ სხვადასხვა ფორმატში (პრეზენტაცია, კომიქსი, ფლაერი და სხვა), ასევე, ახდენენ შინაარსის, დროის, გარემოს დიფერენცირებას, მოსწავლეთა სჭიროებების გათვალისწინებით. მათ შორის, სპორტული აქტივობების შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეებს

სთავაზობს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ ფიზიკურ აქტივობებს. ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება მოხდება ზოგადი ჩარჩოს მიხედვით, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლას გაწერილი აქვს შეფასების სისტემის პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა შეფასების მასალები, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მაგალითები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და აფასებს მოსწავლის სწავლის პროგრესს. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე, შემაჯამებლი დავალებების ანალიზები მიმართულია სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევის შემოწმებისაკენ. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მუდმივად ახდენენ შეფასების სისტემაზე დაკვირვებას, თუ რამდენად სანდო ინფორმაციას იძლევა იგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. განმსაზღვრელი შეფასებით თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, მიზანად ისახავს, ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით კი ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე, დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელი შეფასება. დამატებით, გამოიყენება მოსწავლისა და მასწავლებლის თვითშეფასება, გაკვეთილის შეფასება და სხვა. შეფასებისას გათვალისწინებულია საგნების სპეციფიკა, მაგ, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მოსწავლის შეფასება ხდება შერჩეული სპორტის სახეობების, ამ შემთხვევაში კი მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის სპეციფიკის შესაბამისად შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებით, რაც იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლე შეფასდეს არა მარტო ფიზიკური თვისებების განვითარებით, არამედ უსაფრთხოებისა თუ თამაშის წესების დაცვით, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშების შესრულებითა თუ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით, რომელიც, თავის მხრივ, შესაბამისობაშია ეროვნული სსასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები
- დამატებითი რესურსების ჩამონათვალი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს 2023–24 სასწავლო წლის გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა და შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე. სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ გრძელვადიანი

მიზნების როლი და საჭიროება, ინტერვიუს დროს მათ დეტალურად მოიყვანეს მაგალითები პრაქტიკიდან, იმისათვის, რომ თემის დამუშავებისას მოსწავლეები გავიდნენ შესაბამის მიზანზე, მიიჩნევენ, რომ საკითხის/ების ან ქვესაკითხის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ქვეცნებები და ამისთვის უნდა დაიგეგმოს შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. ჩანს, რომ გარდა საგნების სწავლებისა, სკოლა ყურადღებას ამახვილებს არაფორმალურ აქტივობებზე და გეგმავს სხვადასხვა წრის, კლუბის და პროექტის მუშაობის საკითხებს საჭიროებების გათვალისწინებით. წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროექტები: „ვურჩევთ მეგობარს, რომ წაიკითხონ“, წრე ,,ჩვენ შევიყვარებთ კითხვას“ და ა.შ. ასევე, პერიოდულად სკოლაში ტარდება მოსწავლეთა კონფერენციები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებებით. მასწავლებლები მოსწავლეებს სასწავლო პროცესში სთავაზობენ ნაცნობ კონტექსტებს, ახალი მასალა ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნას და ახალი ცოდნა აიგება ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ამავდროულად, სისტემატურად მიმდინარეობს ძველი და ახალი ინფორმაციის/ცოდნის გამთლიანება და შემდეგ უკვე ისეთი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებზე მუშობა, რომელიც მოითხოვს ცოდნის ტრანსფერს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ, გადაჭრან პრობლემა საკლასო სივრცეში, მიღებული გამოცდილება განაზოგადონ, გააკეთონ ანალოგია, შექმნან პროდუქტი, ახსნან მოვლენები, ასევე, კიდევ ერთხელ გაიაზრონ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევები. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა აქტიურობა და ჩართულობა, მათი ცნობისმოყვარეობა. კომპლექსური დავალების პირობები, ასევე მასწავლებლის მიერ საგავეთილო პროცესში დასმული შეკითხვები და გამოყენებული აქტივობები ემსახურება მსწავლელში სწავლის მოტივაციის აღძვრას, რაც უბიძგებს მას, მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს, გამოიტანოს დასკვნები. იმისათვის, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს დამოუკიდებლად ინფორმაციის დამუშავება და ცოდნის აგება, მას დახმარებას უწევს მასწავლებელი და ასევე, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც ემსახურება ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებასა და ცოდნათა გამთლიანებას. სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა იმას, რომ მოსწავლემ თავადვე გაიაზროს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რა უნარები განუვითარდა და როგორ შეიძლება დახვეწოს, გააუმჯობესოს და გამოიყენოს მიღებული ცოდნა. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ვლინდება, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულებას იღებს, ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმის განვითარება გულისხმობს შემდეგ ფაზებს: (ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია. შესაბამისად, რევიზიის დროს, კათედრებზე შეხვედრებისა თუ თავად მასწავლებლების თვითდაკვირვების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით ხორციელდება კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს მოსწავლეთა დიაგნოსტირების მაგალითები. მასწავლებებიც ადასტურებენ, რომ ამ მიმართულებით ნაკლები გამოცდილება აქვთ. აღსანიშნავია, რომ სკოლა

საჭიროების შესაბამისად ახორციელებს კურიკულუმში გარკვეული ცვლილებების შეტანას, მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით გვხვდება სწორი და დროული რეაგირების განხორციელების პრაქტიკები.
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, სკოლამ მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეებიის/მიღწევების შესწავლის მიზნით საფეხურის ფარგლებში ჩაატაროს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს დაადგინოს, რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად და მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობითაც. შეფასების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები და ასევე რა მოთხოვნები და მოლოდინები აქვს მასწავლებელს თითოეულ დონეზე. რამოდენიმე კომპლექსური დავალებისათვის შექმნილი შეფასების რუბრიკა სკოლას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულების სახით. შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს მათ რეფლექსიას სწავლის პროცესზე. კრიტერიუმების წინასწარ ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდურობის გაზრდას. მასწავლებლების განმავითარებელი კომენტარები ასახულია მოსწავლეთა რვეულებში.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებები, მიმართებაშია საგნობრივ სტანდარტთან და მიზნებთან, რაც მის ვალიდურობას ადასტურებს. შეფასებაში გამოყენებულია გაზომვადი კრიტერიუმები, რუბრიკები შემუშავებულია ობიექტური შეფასების სისტემით. გასაუბრებაზე კათედრის წევრები ადასტურებენ, რომ რუბრიკების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან მოსწავლეები, ასევე, მშობლებისათვის ცნობილია ის კრიტერიუმები, რითაც მოსწავლეები ფასდებიან სასწავლო პროცესში. აღნიშნული შეფასების მექანიზმს გამჭვირვალეს და ვალიდურს ხდის სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. დოკუმენტი მოიცავს: ვერიფიკაციის პროცესის მიზანს; ვერიფიკაციის პროცესის ეტაპებს; განსაზღვრულია ჩატარების ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორი (თუმცა, პროცესში შესაძლებელია სხვა პირებიც იყვნენ ჩართულნი), განხორციელების მიმართულებებს; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების;

მასწავლებლის და მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცესის წარმართვის საკითხებს; შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცედურას, რისკების სისტემას და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის ჯგუფისა და განრიგის შექმნის ბრძანება (ბრძანება 2/27; 2024 წლის 26 მარტი). ვერიფიკაციის პროცესზე მსჯელობისას მასწავლებლები ძირითადად საუბრობენ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე - მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვის/შეცვლის გამოცდილება.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მოსწავლეთა ნამუშევრების სახით სკოლაში ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ, წარმოდგენილია სემესტრული და წლიური კომენტარები როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება კათედრებზე. ექსტერნატის გამოცდის შედეგების, ასევე შუალედური და ფინალური ტესტირებების შედეგების შესახებ ინფორმაცია ინახება არქივში. პირადი საქმეები ინახება მატერიალური სახით. დაცულია ვადები და კონფიდენციალობა. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- მოსწავლეთა კონფერენციის დებულება;
- წრის გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო, კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქცია;
- ვერიფიკაციის ჯგუფისა და განრიგის შექმნის ბრძანება (ბრძანება 2/27; 2024 წლის 26 მარტი).

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებულ დოუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი: მასწავლებლის მიერ განსაზღვრა იმისა, თუ რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ამასთან, წარმოდგენილ კურიკულუმებში, გაკვეთილის გეგმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში საგნის სპეციფიკის შესაბამისად, აქტიურად გამოიყენება დამხმარე რესურსის სახით ელექტრონული რესურსები: ვიდეორგოლი, ფილმი, აუდიოჩანაწერი/აუდიოწიგნი, ანიმაცია, ასევე, თვალსაჩინოებები: პლაკატი, ტაბულა, სქემა, ცხრილი, პრეზენტაცია, მოდელი, რუკა, მაკეტი. ისტ-ის სწავლების მიზნებისთვის გამოყენებულია „სავარჯიშოების კრებული კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“, ვიზუალური პროგრამირება „scratch”, რისი დახმარებითაც უზრუნველყოფილია სწავლა კეთებით. ასევე, მნიშვნელოვან რესურს წარმოადგენს კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული ბმულები, რაც კომპიუტერული ტექნოლოგიის საგნობრივ შედეგებზე გასვლის ეფექტური გზაა. ტექნოლოგიების სწავლებისათვის სასწავლო პროცესში სკოლა ასევე იყენებს სხვადასხვა პლათფორმას, როგორებიცაა: school.emis.ge, Code.org, scratch.mit.edu და სხვა. მათი საშუალებით განსაზღვრულია საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნებზე ორიენტირებული დავალებები, რითაც შესაძლებლობა იქმნება საგნობრივი სტანდარტის სამიზნე ცნებებისა და კრიტერიუმების დაფარვისა. აქავე, აღსანიშნავია, რომ სკოლა გეგმავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკის დანერგვას. ამ ეტაპზე კომპიუტერული ტექნიკისათვის არსებობს სივრცე კომპიუტერული კლასის სახით. აქ მოსწავლეებს საზიარო სივრცეში მუშაობა შეუძლიათ სამუშაო დღეებში, გაკვეთილების შემდეგ. მათ დახმარებას უწევს სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, პროექტორები, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას და რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი, სკოლაში გამოყოფილია ფართი, რომელზედაც განთავსებულია მაგიდის ჩოგურთის ინვენტარი და რომელიც გამოყენებულია სპორტის ამ სახეობის შესასწავლად, ასევე, ღონისძიებების ჩასატარებლად, მოწყობილია ღია სპორტული მოედანი. მათემატიკის სწავლების მიზნებისათვის ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელებთან ერთად გამოიყენება „ხანის აკადემია“, MATH.GE-ს ელექტრონული რესურსები, ტესტები,

ევერესტის და კინგსის რესურსები. სკოლას აქვს ერთი კომპიუტერული ლაბორატორია, აღჭურვილი მოსწავლეთა რაოდენობაზე გათვლილი კომპიუტერებით. აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის, ck12-ის, საკუთარ, თუ მოსწავლეთა მიერ შექმნილ რესურსებს. ბუნებისმეტყველების სწავლის მიზნებისათვის, შესაბამისი თემის საჭიროებიდან გამომდინარე იწვევენ ექიმებს, სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებს. მრავალფეროვანი მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესს ქმნის ინკლუზიურს და ეფექტიანს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მირ წარმოდგენილ დოკუმენტებში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის წესი, რომელიც განიხილება საგნობრივ ჯგუფებში. კურიკულუმის რევიზიისას განიხილება რესურსების ეფექტურობა, ვალიდურობა და ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები. როგორც მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, დამახმარე სასწავლო რესურსების გამოყენების დროს მუდმივად ფიქრობენ როგორ შეამოწმონ სასწავლო რესურსის ეფექტიანობა და განავითარონ მისი გამოყენების სტრატეგიები. რესურსების ვალიდურობას ადასტურებს მოსწავლეთა შედეგები. სასწავლო რესურსის გამოყენების შემდეგ მასწავლებლები ადგენენ: გამოიწვია თუ არა მოსწავლეთა ინტერესი; გაიზარდა თუ არა მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო რესურსის გამოყენების პროცესში; როგორ შეუწყო ხელი რესურსებმა სწავლას; რა ისწავლეს; გამოიწვია თუ არა მოსწავლეთა მოტივაცია ისე, რომ მათ კვლევა განაგრძონ სახლში. ამ კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებლები იკვლევენ: შეუწყო თუ არა სასწავლო რესურსმა შედეგების მიღწევას ხელი; რამ გაამართლა; რა იყო რთული; რას გააუმჯობესებენ; კათედრებზე მასწავლებელთა შეხვედრების ოქმები და წარმოდგენილი მასწავლებელთა რეფლექსიები ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში ირიცხება 76 მოსწავლე, თითოეული მათგანი უზრუნველყოფილია გრიფირებული სახელმძღვანელოებით. სკოლას აქვს საბიბლიოთეო გარემო, ჰყავს ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები და მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის ბიბლიოთეკართან, აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებებს, მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისა და ბიბლიოთეკარის თანამშრომლობით აღინიშნა „წიგნის კითხვის დღე“. არსებულ რესურსებს მოსწავლეები იყენებენ სასწავლო მიზნების მისაღწევად. მიუხედავად შიდა სპორტული დარბაზის არ ქონისა, სპორტის კურიკულუმის მიზნებისთვის სკოლა უზრუნველყოფილია გარე სპორტული მოედნით, ასევე, სკოლის შიდა სივრცეში გამოყოფილია ალტერნატიული ფართი, სადაც სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად ხორციელდება. სკოლას შეძენილი აქვს ბურთები, კონუსები/ე.წ. „ფიშკები“ და სხვა საშუალებები სპორტის საგნის სათანადო წარმართვის მიზნით. აღსანიშავია, რომ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია არა მხოლოდ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე, არამედ კეთებით სწავლის ელემენტების გამოყენებით, შესაბამისი მატერიალური რესურსით. მთლიანობაში, ფიზიკური სასწავლო გარემო ხელს

უზრუნველყოფს კურიკულუმებში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას აქვს 9 პერსონალური კომპიუტერი და 2 ბუკი, 4 პრინტერი და 1 პროექტორი. უშუალოდ ტექნოლოგიების სწავლების პროცესში გამოიყენება 4 კომპიუტერი და 2 ბუკი. ცხადია, მეტად ინოვაციური და პროდუქტიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნისათვის, სკოლას დამატებით სჭირდება კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული რესურსებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში აქტიურად გამოსაყენებლად. ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლამ დამატებით უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის შეძენა. ამ ეტაპზე არსებული მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობას. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის სკოლაში დასაქმებულია 14 უფროსი მასწავლებელი, 1 წამყვანი მასწავლებელი, 1 მოწვეული მასწავლებელი, 2 მასწავლებლობის მაძიებელი, 3 დროებით შემცვლელი მასწავლებელი (სამუშაოზე აყვანილები არიან ვაკანტური თანამდებობის შევსებამდე). ადამიანური რესურსის დატვირთვის გათვალისწინებით, სრულად არის უზრუნველყოფილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლება. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- სასწკოლო სასწავლო გეგმა;
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- სკოლის ინვენტარიზაციის აქტი;
- E-school ბრძანებიდან მიღებული მონაცემები;
- სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მათი პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლა შეფასების პროცესის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს მონიტორინგს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას მუდმივად, მეთვალყურეობასა და კონტროლს. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, პროცესი, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მონიტორინგის ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზეა განაწილებული. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. დაწყებით საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. პედაგოგები აგროვებენ მონაცემებს განსაზღვრულ ვადებში, საგნობრივი კათედრის შეხვედრებზე აანალიზებენ შეგროვებულ ინფორმაციას, აკეთებენ რეფლექსიას და უზიარებენ სასკოლო საზოგადოების წევრებს: დირექციას - ანგარიშის სახით; მშობლებსა და მოსწავლეებს - ინდივიდუალურ შეხვედრებზე. შემუშავებულია ხარისხის მართვის და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა და ინკლუზიური განათლების პროცესების შიდა მონიტორინგის განხორციელების წესები. მთლიანობაში, კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება (კრიტიკული მეგობარი) და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში, ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში - ეს არის ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლება. სკოლაში შექმნილი ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფი თვალყურს ადევნებს და აფასებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს, ესწრება გაკვეთილებს, აფასებს ჩატარებული გაკვეთილის ხარისხს და გამოვლენილი პრობლემის ანალიზის შედეგად ახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს. სკოლას აქვს პრაქტიკა, პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი პრაქტიკის და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის პრაქტიკაში გამოკვეთილია საკვანძო მიმართულებები: ანგარიშვალდებულება - მიზნობრივად განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება განაპირობებს ეფექტიან ანგარიშვალდებულებას; მიღწევა - მონიტორინგისა და შეფასების სისტემა წინაპირობას ქმნის მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს აფასებენ მოსწავლის/მასწავლებლის სასწავლო პროცესს, ადგენენ სფეროებს და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, უკუკავშირის და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს; დაგეგმვა - მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. აღნიშნული განხილულია ხარისხის ჯგუფის ანგარიშში. სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერას. აღნიშნული პროცესის მთავარი დანიშნულებაა, დროულად გამოავლინოს არსებული გამოწვევები და დაგეგმოს მათი მოგვარების გზები. სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც დაწყებითი საფეხურის პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის სწავლის პროცესს, ადგენენ იმ სფეროებს და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. კურიკულუმის დანერგვის, მოსწავლეთა სწავლების პროცესში გამოვლენილი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების

აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვისა და მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. კოლეგების დახმარებისა და გამოცდილების გაზიაერების მიზნით, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ წარმოადგინა ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები (მუსიკა-ბუნებისმეტყველება-ქართული, I კლასი).
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო ნაწილის ანგარიში
- კათედრების სამოქმედო გეგმები
- კათედრების ოქმები
- კათედრების თავმჯდომარეების ანგარიში
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა (I კლასი)

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და სასურველი შედეგი, რაც მონიტორინგმა და შეფასებამ უნდა უზრუნველყოს. მონიტორინგის პროცესში აქტიურად არიან ჩართულები, როგორც კათედრის წევრები, ასევე დირექცია. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასება ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე და სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ

წყაროებს, როგორიცაა, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა თვითშფასება და ურთიერთშფასება, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, რომელიც ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად სწორადაა დაგეგმილი პროცესი, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა და ფოკუსჯგუფები, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თვალით დაინახონ და შეაფასონ პროცესი. მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა პორტფოლიოების წარმოება, რომელსაც წლის ბოლოს შეამოწმებს დირექცია და გასცემს შესაბამის უკუკავშირს. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინდივიდუალურად ეცნობიან შვილების განმავითარებელ შეფასებას, აქედან გამომდინარე მოსწავლეთა მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ იზრუნონ თავისი შვილის შედეგების გაუმჯობესებისათვის. დამრიგებლები აღრიცხავენ მოსწავლეთა ინტერესებს და თავისუფალ დროს მათ მიერ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობას. სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები პრობლემური საკითხის წამოჭრისას აქტიურად აგროვებენ ინფორმაციას დაკვირვების, გამოკითხვის, ურთიერთთანამშრომლობით გზით, რათა მოხდეს პრობლემის ობიექტური შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასებისას გასათვალისინებელ კონტექსტსა და ფაქტორებს. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორებზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც იღებენ ინფორმაციას კლასის დამრიგებლისგან. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას გათვალისწინებულია სასწავლო თემა, როგორც კონტექსტი, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები, აკადემიური მოსწრება და ა.შ სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. შესაბამისად, შემუშავებული რუბრიკებით ფასდება მოსწავლის ცოდნა/უნარები და დამოკიდებულებები. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. საკლასო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი: ნახატი, ესე და სხვ.). ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს პრაქტიკა, შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. სასწავლო პროცესის შეფასებისას დაკვირვება ხორციელდება დირექციის მხრიდან, ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული ჯგუფის წევრების მხრიდან, გამოიყენება მშობელთა გამოკითხვა, კათედრის საქმიანობის ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები, მოსწავლეთა თვითშეფასება და აკადემიური მიღწევების ანალიზი. სახელმმწიფო ენის ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლამ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს სასწავლო პროცესის შეფასებისას რომელ მეთოდებს გამოიყენებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე, ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. სოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების/ფაქტორების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ქმედითად ხედავს შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საჭიროებას: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ამ თვალსაზრისით აანალიზებს, შეფასებისას დაწყებით საფეხურზე რამდენად გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: ხედვის პერსპექტივა; მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა საშუალებაა მოსწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური პროფილის შემუშავების, მისი სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირების და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გამოიკვეთოს, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- მშობელთა გამოკითხვის ფორმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. პროცესი მიემართება დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის საკითხებს. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ მონაცემებს საკუთარი პრაქტიკული საქმიანობისა და მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ახალ პრაქტიკას, სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. ასევე, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ და უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. თითოეული მასწავლებლის რეკომენდაცია მოცემულია როგორც მათ რეფლექსიაში, ასევე კათედრის ოქმში, რომელიც წლის ბოლოს უნდა გაფორმდეს. სკოლაში შემუშავებული კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებულია გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს შესაძლებლობა თანამშრომლებისას გუნდურობამ და სასწავლო პროცესში აქტიურმა ჩართვამ ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის და სკოლისადმი მიკუთვნებულობას. ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს მიეცეს ცალკე არსებული დოკუმენტის სახე, სადაც დროში გაიწერება გამოვლენილი რეფლექსიური მიგნებები და მათზე პასუხისმგებელი პირები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ყოველწლიურად იქმნება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გამოცდილება (მაგალითად, შემაჯამებლების ანალიზები, მასწავლებელთა რეფლექსიები, სადაც წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები სასწავლო პროცესის განსავითარებლად). სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც 2023–24 სასწავლო წლის გეგმა, ისე 2023–24 სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ანგარიშის ფორმა, ასევე, გააჩნია მოქმედი საგნობრივი კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგია. ამდენად, სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევები და შექმნილი აქვს კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, რაც ინერგება მიმდინარე სასწავლო წელს. ფაქტია, რომ სკოლა აცნობიერებს სამოქმედო გეგმისა და კურიკულუმის დანერგვის პროცესის მუდმივი ინტერაქციის საჭიროებას, რაც მოსწავლეთა შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებულ პროცესების რეფლექსიებს, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს ეყრდნობა. შესაბამისად, სკოლა ციკლურად გეგმავს ცვლილებებს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში კლასის დონეზე/საფეხურის დონეზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმი
- მასწავლებელთა რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი: საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2/18; 22 ნოემბერი, 2023 წ.). დოკუმენტში აღწერილია, რომ კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობით, გუნდურ პრინციპებზე დაყრდნობით. სასკოლო კურიკულუმს შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პოზიციები და პროცესში ჩართული მხარეები, დეტალურადაა განხილული მათი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის პრაქტიკაში სკოლო საზოგადოების ინტერესებისა და გამოცდილების შესწავლა ხორციელდება ანონიმური გამოკითხვების, ფოკუსჯგუფების, სასწავლო პროცესის შეფასების, დამრიგებლებისა და კათედრების ანგარიშების შესწავლის და ა.შ. საფუძველზე. მშობელთა ინფორმირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი, ხორციელდება უკუკავშირის გაანალიზება. კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. ვიზიტის დროს გასაუბრება შედგა სკოლის ყველა კათედრის წარმომადგენლებთან, ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის, დირექციის, ინტერესები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, თანამშრომლობას აქტიური სახე აქვს და კათედრის წევრების თანამონაწილეობით არის დაგეგმილი თემები, საკითხები, რომლებიც თემის ფარგლებში შეისწავლება საფეხურის შედეგების მისაღწევად, კომპლექსური დავალებები, ძირითადი და დამხმარე რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები. ასევე, კათედრის წევრები აჯერებენ მოსაზრებებს, თუ როგორ იმუშავეს მოსწავლეებმა შუალედურ მიზნებზე კომპლექსური დავალებებით.

   აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, საგნობრივი კურიკულუმები), იკითხება და კათედრების წევრებთან გასაუბრების დროსაც

დადასტურდა კურიკულუმის შემუშავებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინება. სასკოლო სასწავლო გეგმა ემსახურება სკოლის მისიის მიღწევას, გეგმის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს სკოლა-გიმნაზიის ხედვასა და ღირებულებებს, რომლითაც სკოლა-გიმნაზია ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყოფილია საბაზო საფეხურის მისია და საფეხურის მიხედვით დაგეგმილი ღონისძებები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. აღსანიშნავია, რომ სპორტის კურიკულუმით განსაზღვრული კონკრეტული სახეობები მოსწავლეთა ინტერესების გათვალსიწინებით არის დაგეგმილი, ასევე, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინება განხორციელდა საათობრივი ბადის ფორმირების პროცესში. ასევე, აღსანიშნავია, რომ იკვეთება კათედრებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკები, ხორციელდება ერთობლივი პროექტები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას და სასკოლო პროექტებს სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებაზე. საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია ესგ-თი გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, გამომდინარე სკოლის მისიიდან, მოსწავლეებში ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გასავითარებლად, კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად და ქრისტიანულ ღირებულებებზე აღსაზრდელად. სკოლის საბაზო საფეხურზე ესგ-თი გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებაა: საღვთო სჯული - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით VII - IX კლასებში - 2საათი; ჩამოყალიბებულია კლუბი „ხელმარჯვე ოსტატები“.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობის ვალდებულებას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხორციელდება სხვადასხვა პროცესების ანალიზი და ხდება ანალიზის შედეგების გათვალისწინება. მასწავლებლები ცდილობენ, სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებზე. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან, ინდივიდუალურად აწვდიან ინფორმაციას და მათგან იღებენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. კრებაზე მოწვეულია თითოეული საგნის მასწავლებელი და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კრიკულუმებს, გამოთქვან მოსაზრებები. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით კურიკულუმების შემუშავების პროცესშია გასათვალისწინებელი მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები. მასწავლებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ერთ-ერთმა მშობელმა მიაწოდა ინფორმაცია მასწავლების სახლის მიერ გამოცხადებული სასკოლო კლუბების პროექტის შესახებ, პედაგოგებმა შეისწავლეს საკითხი და შედეგად, მშობლის ინიციატივით სკოლაში ჩამოყალიბდა კონკრეტული კლუბი. ასევე, გვხვდება გამოცდილების ურთიერთ-გაზიარების პრაქტიკები მასწავლებლებს შორის (მაგალითად, მე-10 კლასში სკოლამ პროექტული სწავლება განახორციელა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, ამავე საგნის პეადგოგმა შემდგომში დახმარება გაუწია მუსიკის პედაგოგს).

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. გასაუბრებისას წარმოჩინდა, რომ საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები აცნობიერებენ კურიკულუმის შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობას უკუკავშირის მისაღებად. დასტურდება, რომ სწავლების მეთოდოლოგია და კოპლექსური დავალებების ბარათები გაზიარებულია მოსწავლეებთან, მშობლებთან მათგან მიღებული ზეპირი ან წერილობითი უკუკავშირის საფუძველზე ხორციელდება ანალიზი და საკითხის შეჯამება. სასკოლო კურიკულუმის გაზიარების მექანიზმებად გამოყენებულია: სკოლის სივრცე, ელექტრონული ფოსტა, პორტალი, სოციალური მედია, მესენჯერ ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები, რაც უზრუნველყოფს შემუშავებული კურიკულუმების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გამოკითხვის ფორმები;
- კათედრების სხდომების ოქმები;
- დამრიგებლების ანგარიშები;
- კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები;
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ვებ გვერდი;
- საწრეო მუშაობის გეგმა (23-24 წლის პირველი სემესტრი).

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრინციპებს. ამავე დოკუმენტის შესაბამისად, საგნობრივ კათედრებს წარმოდგენილი აქვთ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები და დანართები, რითაც ხელს უწყობენ გრძელვადიანი მიზნის მიხედვით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, სავალდებულო სამიზნე ცნებების და სარეკომენდაციო თემების (საბაზო საფეხურზე) შესაბამისად. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღწერეს მუშაობის ეტაპები, სწავლებისას აქცენტი კეთდება შემოქმედებით პროდუქტზე, როგორიცაა: პოსტერი, დღიური, ტექსტის ანალიზი, დიალოგი, ესე, ანალიტიკური ესე, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება. აღნიშნული შემოქმედებით პროდუქტებზე მუშაობა ააქტიურებს მოსწავლეთა შინაგან ძალებს და, ზოგადად, პიროვნულ განვითარებას ემსახურება. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გაცემული შეფასების მაგალითები, სადაც წარმოდგენილი კომენტარები ხელს უწყობს მოსწავლის განვითრებას. ასევე, აღსანიშნავია, რომ უცხოურ ენებში სასწავლო პროცესში გათვალისწინმებულია პროექტული ტიპის აქტივობები, როგორც ამას მოითხოვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. საფეხურის თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას და შეესაბამება ცოდნის დონეს. საბაზო საფეხურის ინგლისური ენის მეშვიდე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ითვალისწინებს ისეთი პროდუქტის შექმნას, როგორიცაა საგაზეთო სტატიის დაწერა, საგაზეთო სტატიის პრეზენტაცია ხდება ჩამოთვლილი თემებთან დაკავშირებით, რომელსაც მოსწავლე სურვილისამებრ აირჩევს: News, sports, art, problems, fashion, gossip, fun, ეს შეიძლება იყოს როგორც კულტურული, ასევე სპორტული თუ გასართობი ღონისძიებები. გარდა იმისა, რომ მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს საბოლოო პროდუქტს რა თემაზე წარადგენს, შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში მითითებული რესურსები, რაც ასევე ზრდის მისი ავტონომიურობის ხარისხს. ამავე დროს, სტატიის პრეზენტაციის დროს, ის გამოიყენებს იმ ენობრივ საშუალებებს და მიმართავს იმ სამეტყველო ქმედებას, რაც მოსწავლის საკომუნიკაციო უნარებს განავითარებს. გარდა ამისა, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში, მაგალითად ინგლისური ენის კათედრამ ისტორიის კათედრასთან ერთად საბაზო საფეხურზე დაგეგმა ერთობლივი პროექტი, მათ მოინახულეს ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიული მუზეუმი, სადაც მოსწავლეებმა დაგეგმილი თემატიკის ფარგლებში იმუშავეს. გარდა ამისა, Glory Future Foundation-მა ბანგლადეშიდან, ბანგლადეშელ მოსწავლეებთან ერთად უმასპინძლა კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას, მოეწყო ონლაინ სესია თემაზე - bullying (ბულინგი), VIII-X კლასის მოსწავლეებმა ინგლისური ენის მასწავლებელთან ერთად გააკეთეს თემის პრეზენტაცია. შეხვედრის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სერთიფიკატებით, წარმატებული მონაწილეობისთვის. როგორც კათედრის ოქმებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში, მათ შორის, ისეთ აქტივობებში, რაც ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების

მიღწევას. გასაუბრების დროს საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა დაანონსეს მიმდინარე ინტეგრირებული გაკვეთილები, ასევე, აღნიშნეს, რომ სურვილი აქვთ, მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. საგნებში კომპლექსური დავალების იდეები აგებულია მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. მასწავლებლები მოსწავლის სასწავლო შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ მომდევნო გაკვეთილს, რისთვისაც აქტიურად ხდება შესასვლელი და გასასვლელი ბილეთების და ასევე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება. კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა, რა გამოუვიდათ კარგად და რას შეცვლიდნენ მეორედ რომ ასრულებდნენ მსგავს დავალებას. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები ნაცნობ და მოსწავლისათვის საინტერესო კონტექსტებს ეფუძნება რაც ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებს აქვთ მაღალი მზაობა მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება მოსწავლეებთან კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს არაფორმალური განათლების ელემენტების გამოყენებაზე, მაგ. სკოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად აქვს სასკოლო პროექტი „დავიცვათ ბიომრავალფეროვნება“, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებლები და მოსწავლეები. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად სკოლა საგნობრივი სტანდარტების მიხედვით გეგმავს კურიკულუმებს, განსაზღვრავს გრძელვადიან სამიზნე ცნებებს, რომლებიც მუშავდება შემლებისდაგვარად ყველა თემაში. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგები წარმოადგენს მასწავლებლებისათვის სამიზნე ნიშნულს, რომელსაც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს (საფეხურის დაძლევამდე) ავითარებენ და ყოველ მომდევნო სასწავლო წელს ხდება კონკრეტული შედეგების უფრო სიღრმისეულად დამუშავება. ასევე, სწავლებისას აქცენტი კეთდება ფუნქციურ კონტექსტებზე. სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, რესურსები, სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალების იდეები. თითოეულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით საჭიროების შესაბამისად გაწერილია ქვეცნებები, ქვესაკითხები, მტკიცებულების სახით კათედრებმა ასევე წარმოადგინეს შესრულებული დავალების ნიმუშები. სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობა, როგორიცაა უცხოური ენების კვირეულში მონაწილეობა, ინტეგრირებული გაკვეთილები, ასევე უზრუნველყოფს მოსწავლეებში იმ უნარების გააქტიურებას, რაც გლობალურ ფუნქციურ უნარებს მოიაზრებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მიერ გაიცა რჩევა, სკოლამ უზრუნველყოფს შემდეგი უზუსტობების გასწორება: გეოგრაფიის IX კლასის კურიკულუმში, სასურველია, რესურსებში, მიეთითოს სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა. ასევე, კურიკულუმების თავფურცელზე მითითებული იყოს სკოლის სრული სახელწოდება; ისტორიის VII კლასის კურიკულუმში პირველ თემაში „პრეისტორია/ქვის ხანა“ ქვესაკითხად მითითებულია „ისტორიული მოვლენა/პროცესი“ რაც არის არა ქვესაკითხი, არამედ სამიზნე ცნება; მეორე თემაში „ბრინჯაოს ხანა/ძველი აღმოსავლეთი“ უნდა დაკონკრეტდეს ქვეცნებები და ქვესაკითხები. IX კლასის კურიკულუმში, მესამე თემაში „საქართველო და თანამედროვე მსოფლიო“ არ მუშავდება სამიზნე ცნებები „ისტორიული წყარო“, „საზოგადოება“ და „ისტორიული მოვლენა/პროცესი“. ასევე, მესამე თემაში ქვეცნებები არასწორად არის

წარმოდგენილი, ისინი უნდა ეწეროს საკითხების ველში. მაგ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა“ არის საკითხი და არა ქვეცნება. მოქალაქეობის VII VIII და IX კლასების კურიკულუმებში, რესურსებში, სასურველია მიეთითოს სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოს ავტორი/ავტორთა ჯგუფი და გამომცემლობა. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. განსაზღვრულია რესურსის ტიპები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები/სერია; დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ); ბიბლიოთეკა, მუზეუმები, თეატრი, ისტორიული ძეგლები, და სხვა დამატებითი ციფრული/ელექტრონული და მატერიალური რესურსები, საგნის სპეციფიკის შესაბამისად. თითოეული რესურსი მიზნობრივია და გათვალისწინებულია მოსაწავლეთა ასაკობრივი თავისებურება. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია პროექტორი, კომპიუტერი, სხვადასხვა მატერიალური რესურსი, როგორიც არის რუკები, გლობუსი, პოსტერები, რათა მოსწავლეები ადგილზე გაეცნონ კომპლექსური დავალების განსახორციელებლად საჭირო რესურსს და იქვე დაამუშაონ, რაც აუცილებელია სწავლის შედეგებზე გასასვლელად. წარმოდგენილი რესურსების გამოყენება დასტურდება სკოლის მიერ ექსპერტებისათვის მიწოდებული შესრულებული დავალებებით, პროექტებით და ა.შ. უცხოურ ენებში მასწავლებლები ცდილობენ ისეთი რესურსების შეთავაზებას, რომლებიც ოთხივე უნარში მოამზადებს მოსწავლეებს: წაკითხულის გააზრება, საუბარი, წერა და მოსმენის უნარებში. მათემატიკის სწავლების მიზნით გარდა სახელმძღვანელოებისა, გამოიყენება დამხმარე რესურსები: ხანის აკადემია, ვედეო-გაკვეთილები, MATH.GE-ს ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლათფორმები, თვალსაჩინოებები. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, სასწავლო და საკლუბო მუშაობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები (სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი, ასევე, იგეგმება სხვა არაფორმალური აქტივობები), მოსწავლეებს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში არის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორიები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას საკლუბო, თუ საკლასო სამუშაოებში. შეჯამების სახით, კურიკულუმით გათვალისწინებული, სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური მიმართულება, სადაც გაწერილია ინკლუზიური მიდგომის სპეციფიკა, არსი და სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. უშუალოდ სასწავლო პროცესშიც გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს მასწავლებლები გამოკვეთენ მოსწავლის და ზოგადად კლასის საჭროებებს, რაზე დაფუძნებითაც იგეგმება კლასთან და მოსწავლესთან მუშაობა. დასახული მიზნების მისაღწევად,

მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს ასარჩევად, ასევე, მოსწავლეებს საშუალება აქვთ, დავალებები წარმოადგინონ სხვადასხვა ფორმატში (პრეზენტაცია, კომიქსი, ფლაერი და სხვა), ასევე, ახდენენ შინაარსის, დროის, გარემოს დიფერენცირებას, მოსწავლეთა სჭიროებების გათვალისწინებით. მათ შორის, სპორტული აქტივობების შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ ფიზიკურ აქტივობებს. ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება მოხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლას გაწერილი აქვს შეფასების სისტემის პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა შეფასების მასალები, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მაგალითები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და აფასებს მოსწავლის სწავლის პროგრესს, მიმართულია სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევის შემოწმებისაკენ. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მუდმივად ახდენენ შეფასების სისტემაზე დაკვირვებას, თუ რამდენად სანდო ინფორმაციას იძლევა იგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. განმსაზღვრელი შეფასებით თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, მიზანად ისახავს, ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით კი ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელი შეფასება. დამატებით, გამოიყენება მოსწავლისა და მასწავლებლის თვითშეფასება, გაკვეთილის შეფასება და სხვა. შეფასებისას გათვალისწინებულია საგნების სპეციფიკა, მაგ, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მოსწავლის შეფასება ხდება შერჩეული სპორტის სახეობების სპეციფიკით შემუშავებული შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლე შეფასდეს არა მარტო ფიზიკური თვისებების განვითარებით, არამედ უსაფრთხოებისა თუ თამაშის წესების დაცვით, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშების შესრულებითა, თუ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით, რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაშია ეროვნული სსასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნამუშევრები
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები
- დამატებითი რესურსების ჩამონათვალი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს 2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე. სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის,

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ გრძელვადიანი მიზნების როლი და საჭიროება, ინტერვიუს დროს მათ დეტალურად მოიყვანეს მაგალითები პრაქტიკიდან. ჩანს, რომ გარდა საგნების სწავლებისა, სკოლა ყურადღებას ამახვილებს არაფორმალურ აქტივობებზე და გეგმავს სხვადასხვა წრის, კლუბის და პროექტის განხორციელებას საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლაში პერიოდულად მოსწავლეთა მონაწილეობით ეწყობა კონფერენციები. მასწავლებლები მოსწავლეებს სასწავლო პროცესში სთავაზობენ ნაცნობ კონტექსტებს. ახალი მასალა ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნას და ახალი ცოდნა აიგება ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ამავდროულად, სისტემატურად მიმდინარეობს ძველი და ახალი ინფორმაციის/ცოდნის გამთლიანება და შემდეგ უკვე ისეთი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებზე მუშობა, რომელიც მოითხოვს ცოდნის ტრანსფერს. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ, გადაჭრან პრობლემა საკლასო სივრცეში, მიღებული გამოცდილება განაზოგადონ, გააკეთონ ანალოგია, შექმნან პროდუქტი, ახსნან მოვლენები, ასევე, კიდევ ერთხელ გაიაზრონ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევები, მასწავლებლის მიერ საგავეთილო პროცესში დასმული შეკითხვები, გამოყენებული აქტივობები ემსახურება მსწავლელში სწავლის მოტივაციის აღძვრას, რაც უბიძგებს მას მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს, გამოიტანოს დასკვნები. იმისათვის, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს დამოუკიდებლად ინფორმაციის დამუშავება და ცოდნის აგება, მას დახმარებას უწევს მასწავლებელი და ასევე, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც ემსახურება ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებასა და ცოდნათა გამთლიანებას. სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა იმას, რომ მოსწავლემ თავადვე გაიაზროს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რა უნარები განუვითარდა და როგორ შეიძლება დახვეწოს, გააუმჯობესოს და გამოიყენოს მიღებული ცოდნა. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ვლინდება, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დგინდება, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულებას იღებს, ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმის განვითარება გულისხმობს შემდეგ ფაზებს: (ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია. შესაბამისად, რევიზიის დროს, კათედრებზე შეხვედრებისა თუ თავად მასწავლებლების თვითდაკვირვების შედეგად გამოვლენილი საჭიროებეის მიხედვით ხორციელდება კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს მოსწავლეთა დიაგნოსტირების მაგალითები. მასწავლებებიც ადასტურებენ, რომ ამ მიმართულებით ნაკლები გამოცდილება აქვთ. აღსანიშნავია, რომ სკოლა საჭიროების შესაბამისად ახორციელებს კურიკულუმში გარკვეული ცვლილებების შეტანას, მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით გვხვდება სწორი და დროული რეაგირების განხორციელების პრაქტიკები.

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, სკოლამ მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულებიის/მიღწევების შესწავლის მიზნით საფეხურის ფარგლებში ჩაატაროს მოსწავლეთა სადაიაგნოსტიკო შეფასებები, რაც ხელს შეუწყობს დაადგინოს რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად და მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობითაც. შეფასების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები და ასევე რა მოთხოვნები და მოლოდინები აქვს მასწავლებელს თითოეულ დონეზე. რამოდენიმე კომპლექსური დავალებისთვის შექმნილი შეფასების რუბრიკა სკოლას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულების სახით. შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების კრიტერიუმების წინასწარ ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდურობის გაზრდას. კათედრებზე შემუშავებულია როგორც კომპლექსური დავალებების, ისე სხვადასხვა ტიპის აქტივობის თუ სამუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებები, მიმართებაშია საგნობრივ სტანდარტებთან და მიზნებთან, გამოყენებულია გაზომვადი კრიტერიუმები, რუბრიკები შემუშავებულია ობიექტური შეფასების სისტემით. გასაუბრებაზე კათედრების წევრები ადასტურებენ, რომ რუბრიკების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან მოსწავლეები, ასევე, მშობლებისათვის ცნობილია ის კრიტერიუმები, რითაც მოსწავლეები ფასდებიან სასწავლო პროცესში. აღნიშნული შეფასების მექანიზმს გამჭვირვალეს და ვალიდურს ხდის სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. დოკუმენტი მოიცავს: ვერიფიკაციის პროცესის მიზანს; ვერიფიკაციის პროცესის ეტაპებს; განსაზღვრავს ჩატარების ვერიფიკაციის პროცესის განმახორციელებელ პირებს (დირექტორი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი), საქმიანობის მიმართულებებს; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების; მასწავლებლის და მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცესის წარმართვის საკითხებს; შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცედურას, რისკების სისტემას და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის ჯგუფისა და განრიგის შექმნის ბრძანება (ბრძანება 2/27; 2024 წლის 26 მარტი). ვერიფიკაციის პროცესზე მსჯელობისას მასწავლებლები ძირითადად საუბრობენ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე - მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვის/შეცვლის გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მოსწავლეთა ნამუშევრების სახით სკოლაში ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ, წარმოდგენილია სემესტრული და წლიური კომენტარები როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება კათედრებზე. ექსტერნატის გამოცდის შედეგების, ასევე შუალედური და ფინალური ტესტირებების შედეგების შესახებ ინფორმაცია ინახება არქივში. პირადი საქმეები ინახება მატერიალური სახით. დაცულია ვადები და კონფიდენციალობა. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროსმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება და წესი (ვადების მითითებით).
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა კონფერენციის დებულება;
- წრის გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო, კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქცია
- ვერიფიკაციის ჯგუფისა და განრიგის შექმნის ბრძანება (ბრძანება 2/27; 2024 წლის 26 მარტი)

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (*მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა). ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება,*

რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში რელევანტური სასწავლო რესურსების შერჩევის აუცილებლობას. სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ამასთან, წარმოდგენილ კურიკულუმებში, გაკვეთილის გეგმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა რომ სასწავლო პროცესში საგნის სპეციფიკის შესაბამისად, აქტიურად გამოიყენება დამხმარე რესურსის სახით ელექტრონული რესურსები: ვიდეორგოლი, ფილმი, აუდიოჩანაწერი/აუდიოწიგნი, ანიმაცია, ასევე, თვალსაჩინოებები: პლაკატი, ტაბულა, სქემა, ცხრილი, პრეზენტაცია, მოდელი, რუკა, მაკეტი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, პროექტორები, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას და რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი, სკოლაში გამოყოფილია ფართი, რომელზედაც განთავსებულია მაგიდის ჩოგურთის ინვენტარი და რომელიც გამოყენებულია სპორტის ამ სახეობის შესასწავლად, თუ ღონისძიებების ჩასატარებლად, მოწყობილია ღია სპორტული მოედანი. მათემატიკის სწავლების მიზნებისათვის ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელებთან ერთად გამოიყენება „ხანის აკადემია“, MATH.GE-ს ელექტრონული რესურსები, ტესტებს, ევერესტის და კინგსის რესურსები. სკოლას აქვს ერთი კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორიების აღჭურვილობა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დაგეგმილი ექსპერიმნეტული, მცირე კვლევითი სამუშაოების ჩასატარება. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა იყენებს აქტიურად ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის, ck12 ის, საკუთარ, თუ მოსწავლეთა მიერ შექმნილ რესურსებს. მრავალფეროვანი მატერიალური რესურსები, სასწავლო პროცესს ქმნის ინკლუზიურს და ეფექტიანს. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მირ წარმოდგენილ დოკუმენტებში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის წესი, ასევე, კურიკულუმის რევიზიისას განიხილება რესურსების ეფექტურობა, ვალიდურობა და ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები. როგორც მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, დამახმარე სასწავლო რესურსების გამოყენების დროს მუდმივად ფიქრობენ როგორ შეამოწმონ სასწავლო რესურსის ეფექტიანობა და განავითარონ მისი გამოყენების სტრატეგიები. რესურსების ვალიდურობას ადასტურებს მოსწავლეთა შედეგები. სასწავლო რესურსის გამოყენების შემდეგ მასწავლებლები ადგენენ: გამოიწვია თუ არა მოსწავლეთა ინტერესი? გაიზარდა თუ არა მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო რესურსის გამოყენების პროცესში? როგორ შეუწყო ხელი სწავლას, რა ისწავლეს?

გამოიწვია თუ არა მოსწავლეთა მოტივაცია ისე, რომ მათ კვლევა გააგრძელონ სახლში? ამ კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებლები იკვლევენ: შეუწყო თუ არა სასწავლო რესურსმა შედეგების მიღწევას ხელი? რამ გაამართლა? რა იყო რთული? რას გააუმჯობესებენ? კათედრაზე მასწავლებელთა შეხვედრების ოქმები, წარმოდგენილი მასწავლებელთა რეფლექსიები ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში ირიცხება 76 მოსწავლე, თითოეული მათგანი უზრუნველყოფილია გრიფირებული სახელმძღვანელოებით. წარმოდგენლი ღონისძიებების ჩანაწერებით, ფოტო-ვიდეო მასალით დასტურდება, რომ სკოლას აქვს საბიბლიოთეო გარემო, ჰყავს ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები და მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის ბიბლიოთეკართან, აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებებს, არსებულ რესურსებს მოსწავლეები იყენებენ სასწავლო მიზნების მისაღწევად. მიუხედავად შიდა სპორტული დარბაზის არქონისა, სკოლა უზრუნველყოფილია გარე სპორტული მოედნით და სკოლის შიდა სივრცეში გამოყოფილია ალტერნატიული ფართი, სადაც სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად ხორციელდება. სკოლას შეძენილი აქვს ბურთები, კონუსები/ფიშკები და სხვა საშუალებები სპორტის საგნის სათანადო წარმართვის მიზნით. აღსანიშავია, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია არა მხოლოდ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე, არამედ კეთებით სწავლის ელემენტების გამოყენებით, შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლაში შექმნილია სოციო-კულტურული სივრცე, რომელიც ხელს უწობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებას. მთლიანობაში, ფიზიკური სასწავლო გარემო ხელს უწყობს კურიკულუმებში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას შემუშავებული აქვს რესურსების გამოყენების წესი (მუხლი 2. ლაბორატორიით სარგებლობის მიზნები და ამოცანები). სკოლაში არის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიები (აღჭურვილობა მოიცავს 208 ერთეულს). ლაბორატორიაში დაცულია უსაფრთხოების წესები, კარადები უზრუნველყოფილია საკეტებით, გამოკრულია ნივთიერებებთან მუშაობის წესები, ნივთიერებები შენახულია თავდახურულ ჭურჭელში. ქიმიის ლაბორატორია იძლევა უსაფრთხო ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას საკლუბო, თუ საკლასო სამუშაოებში. ამასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევაა, სკოლის სამუშაო მაგიდა აღიჭურვოს მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის სკოლაში დასაქმებულია 14 უფროსი მასწავლებელი, 1 წამყვანი მასწავლებელი, 1 მოწვეული მასწავლებელი, 2 მასწავლებლობის მაძიებელი, 3 დროებით შემცვლელი მასწავლებელი (სამუშაოზე აყვანილები არიან ვაკანტური თანამდებობის შევსებამდე). ადამიანური რესურსის დატვირთვის გათვალისწინებით, სრულად არის უზრუნველყოფილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლება. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასწკოლო სასწავლო გეგმა;
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- 2011 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულება (№ geo-045/1/3) შპს „ჯეო დეკორთან“ და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (2012 წლის 5 იანვარი);
- შპს „GT ჯგუფთან“ 2024 წლის 20 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება ქიმიური და ბიოლოგიური რექატივების შეძენის შესახებ და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (2024 წლის 21 თებერვალი);
- სკოლის ინვენტარიზაციის აქტი;
- E-school ბრძანებიდან მიღებული მონაცემები;
- სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მათი პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლა შეფასების პროცესის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს მონიტორინგს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას მუდმივად, მეთვალყურეობასა და კონტროლს. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, პროცესი, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მოხდება მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესწავლა, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. მონიტორინგს ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზეა განაწილებული. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. საფეხურზე მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. პედაგოგები აგროვებენ მონაცემებს განსაზღვრულ ვადებში, საგნობრივი კათედრის შეხვედრებზე აანალიზებენ შეგროვებულ ინფორმაციას, აკეთებენ რეფლექსიას და უზიარებენ სასკოლო საზოგადოების წევრებს: დირექციას - ანგარიშის სახით; მშობლებსა და მოსწავლეებს - ინდივიდუალურ შეხვედრებზე. შემუშავებულია ხარისხის მართვის და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა და ინკლუზიური განათლების პროცესების შიდა მონიტორინგის განხორციელების წესები. მთლიანობაში, კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება (კრიტიკული მეგობარი) და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე ხორციელდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში, ეს გამოიხატება გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში - ეს არის ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლება. სკოლაში შექმნილი ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფი თვალყურს ადევნებს და აფასებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს, ესწრება გაკვეთილებს, აფასებს ჩატარებული გაკვეთილის ხარისხს და გამოვლენილი პრობლემის ანალიზის შედეგად ახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს. სკოლას აქვს პრაქტიკა, პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ

კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი პრაქტიკის და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია, სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ თვალსაზრისისთ სკოლაში გამოკვეთილია საკვანძო მიმართულებები: ანგარიშვალდებულება - მიზნობრივად განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება განაპირობებს ეფექტიან ანგარიშვალდებულებას. მიღწევა - მონიტორინგისა და შეფასების სისტემა წინაპირობას ქმნის მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს აფასებენ მოსწავლის/მასწავლებლის სასწავლო პროცესს, ადგენენ სფეროებს და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, უკუკავშირის და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. დაგეგმვა -მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. აღნიშნული განხილულია ხარისხის ჯგუფის ანგარიშში. სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერას. აღნიშნული პროცესის მთავარი დანიშნულება არის დროულად გამოავლინოს არსებული გამოწვევები და დაგეგმოს მათი მოგვარების გზები. სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის სწავლის პროცესს, ადგენენ იმ სფეროებს და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. კურიკულუმის დანერგვის, მოსწავლეთა სწავლების პროცესში გამოვლენილი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილიახარისხის მართვისა და მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს, ასევე, ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა საბაზო საფეხურზე გაკვეთილის ინტეგრირებულად დაგეგმვის და პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარების მაგალითები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო ნაწილის ანგარიში
- კათედრების სამოქმედო გეგმები
- კათედრების სხდომი ოქმები
- კათედრების თავმჯდომარის ანგარიშიები
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი
- ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმა (VII კლასი)

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მონიტორინგის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი, როგორც კათედრის წევრები, ასევე დირექცია. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა თვითშფასება და ურთიერთშფასება, დაკვირვება სასწავლო პროცესზე, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები, მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა პორტფოლიოების წარმოება, რომელსაც წლის ბოლოს შეამოწმებს დირექცია და გასცემს შესაბამის უკუკავშირს; ასევე, ხორციელდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეების პორტფოლიოების შესწავლა, რომელიც ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად სწორადაა დაგეგმილი პროცესი და ა.შ.

   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორებზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც იღებენ ინფორმაციას კლასის დამრიგებლისგან. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას გათვალისწინებელია სასწავლო თემა, როგორც კონტექსტი, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები, აკადემიური მოსწრება და ა.შ სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, შემუშავებული რუბრიკებით ფასდება მოსწავლის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. საკლასო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.). ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს პრაქტიკა, შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. სასწავლო პროცესის შეფასებისას დაკვირვება ხორციელდება დირექციის მხრიდან, ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული ჯგუფის წევრების მხრიდან. გამოიყენება მშობელთა გამოკითხვა, კათედრის საქმიანობის ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები, მოსწავლეთა თვითშეფასება და აკადემიური მიღწევების ანალიზი. სახელმმწიფო ენის ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლამ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს სასწავლო პროცესის შეფასებისას რომელ მეთოდებს გამოიყენებს.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე, ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. სოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების/ფაქტორების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ქმედითად ხედავს შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საჭიროებას: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ამ თვალსაზრისით აანალიზებს, რამდენად გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: ხედვის პერსპექტივა; მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა საშუალებაა მოსწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური პროფილის შემუშავების, მისი სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირების და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, მეთოდოლოგიაშიც ჩანდეს რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას ფაქტორის გათვალისწინება.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- მშობელთა გამოკითხვის ფორმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. პროცესი მიემართება დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის საკითხებს. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ მონაცემებს საკუთარი

პრაქტიკული საქმიანობისა და მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ახალ პრაქტიკას, სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. ასევე, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ და უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. თითოეული მასწავლებლის რეკომენდაცია მოცემულია როგორც მათ რეფლექსიაში, ასევე კათედრის ოქმში. სკოლაში შემუშავებული კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. დაგეგემვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებულია გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს შესაძლებლობა თანამშრომლებისას გუნდურობამ და სასწავლო პროცესში აქტიურმა ჩართვამ ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის და სკოლისადმი მიკუთვნებულობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ყოველწლიურად იქმნება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გამოცდილება (მაგ. შემაჯამებლების ანალიზები, მასწავლებელთა რეფლექსიები, სადაც წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები სასწავლო პროცესის განსავითარებლად. სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც 2023–24 სასწავლო წლის გეგმა, ისე 2023–2024 სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ანგარიშის ფორმა, ასევე, გააჩნია მოქმედი საგნობრივი კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგია. ამდენად, სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევები და შექმნილი აქვს კურიკულუმის რევიზირებული ვერსია, რომელიც ინერგება მიმდინარე სასწავლო წელს. სკოლა აცნობიერებს სამოქმედო გეგმისა და კურიკულუმის დანერგვის პროცესის მუდმივი ინტერაქციის საჭიროებას, რაც მოსწავლეთა შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებულ პროცესების რეფლექსიებს, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს ეყრდნობა. შესაბამისად, სკოლა ციკლურად გეგმავს ცვლილებებს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში კლასის დონეზე/საფეხურის დონეზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმი
- მასწავლებელთა რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი: საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს კახათის წმინდა გიორგის სახელობის სასულიერო გიმნაზიას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძანება N 2/18; 22 ნოემბერი, 2023 წ.). დოკუმენტში აღწერილია, რომ კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს თანამშრომლობით, გუნდურ პრინციპებზე დაყრდნობით. სასკოლო კურიკულუმს შეიმუშავებს სასკოლო საზოგადოება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების, სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის ჩართულობით. განსაზღვრულია პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პოზიციები და პროცესში ჩართული მხარეები, დეტალურადაა განხილული მათი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის პრაქტიკაში სკოლო საზოგადოების ინტერესებისა და გამოცდილების შესწავლა ხორციელდება მათი გამოკითხვის (ანონიმური გამოკითხვა და /ან ფოკუსჯგუფები და/ან სასწავლო პროცესის შეფასების, დამრიგებლებისა და კათედრების ანგარიშების შესწავლა და სხვა) საფუძველზე. მშობელთა ინფორმირებისათვის გამოიყენება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი, ხორციელდება უკუკავშირის გაანალიზება. კურიკულუმზე მუშაობა მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში, ვიზიტის დროს გასაუბრება შედგა სკოლის ყველა კათედრის წარმომადგენლებთან. ინტერვიუს პროცესშიც გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ინტენსიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის, დირექციის, მასწავლებლების ინტერესები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, თანამშრომლობას აქტიური სახე აქვს და კათედრის წევრების თანამონაწილეობით არის დაგეგმილი თემები, საკითხები, რომლებიც თემის ფარგლებში შეისწავლება საფეხურის შედეგების მისაღწევად, კომპლექსური დავალებები, ძირითადი და დამხმარე რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები. ასევე, კათედრის წევრები აჯერებენ მოსაზრებებს, თუ როგორ იმუშავეს მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებებით შუალედურ მიზნებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის სხდომის ოქმები, საგნობრივი კურიკულუმები), იკითხება და კათედრების წევრებთან გასაუბრების დროსაც დადასტურდა კურიკულუმის შემუშავებისას სასკოლო საზოგადოების ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინება. სასკოლო სასწავლო გეგმა ემსახურება სკოლის მისიის მიღწევას, გეგმის შინაარსი ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს სკოლის ხედვასა და ღირებულებებს, რომლითაც იგი ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობის პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყოფილია საშუალო საფეხურის მისია და საფეხურის მიხედვით დაგეგმილი ღონისძებები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერესების დასადგენად სკოლა ატარებს გამოკითხვებს მშობლებთან, მასწავლებლებთან. აღსანიშნავია, რომ სპორტის კურიკულუმით განსაზღვრული კონკრეტული სახეობები მოსწავლეთა ინტერესების გათვალსიწინებით არის დაგეგმილი, ასევე, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინება განხორციელდა საათობრივი ბადის ფორმირების პროცესში. ასევე, აღსანიშნავია, რომ იკვეთება კათედრებს შორის თანამშრომლობის პრაქტიკები, ხორციელდება ერთობლივი პროექტები. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას და სასკოლო პროექტებს სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებაზე. საშუალო საფეხურზე გათვალისწინებულია ესგ-თი გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება: საღვთო სჯული - დამატებითი სავალდებულო საგნის სახით X- XII კლასებში - 2საათი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრების კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობის ვალდებულებას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმის შექმნაზე, კათედრის შეხვედრებზე ხორციელდება სხვადასხვა პროცესების ანალიზი და ხდება ანალიზის შედეგების გათვალისწინება. მასწავლებლები ცდილობენ, სადამრიგებლო პროგრამებში ასახონ სასკოლო პროექტის თემები, რომლებიც მორგებული იქნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებზე. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობელთან, ინდივიდუალურად აწვდიან ინფორმაციას და მათგან იღებენ უკუკავშირს. მსგავსი საკითხების განხილვა ხდება მშობელთა კრებებზეც. კრებაზე მოწვეულია თითოეული საგნის მასწავლებელი და მშობლებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ სასწავლო კრიკულუმებს, გამოთქვან მოსაზრებები. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით კურიკულუმების შემუშავების პროცესშია გასათვალისწინებელი მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები. მასწავლებელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ერთ-ერთმა მშობელმა მიაწოდა ინფორმაცია მასწავლების სახლის მიერ გამოცხადებული სასკოლო კლუბების პროექტის შესახებ, პედაგოგებმა შეისწავლეს საკითხი და შედეგად, მშობლის ინიციატივით სკოლაში ჩამოყალიბდა კონკრეტული კლუბი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. გასაუბრებისას წარმოჩინდა, რომ საგნობრივი კათედრების წარმომადგენლები აცნობიერებენ კურიკულუმის შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობას უკუკავშირის მისაღებად. დასტურდება, რომ სწავლების მეთოდოლოგია და კოპლექსური დავალებების ბარათები გაზიარებულია მოსწავლეებთან, მშობლებთან მათგან მიღებული ზეპირი ან წერილობითი უკუკავშირის საფუძველზე ხორციელდება ანალიზი და საკითხის შეჯამება. სასკოლო კურიკულუმის გაზიარების მექანიზმებად გამოყენებულია: სკოლის სივრცე, ელექტრონული ფოსტა, პორტალი, სოციალური მედია, მესენჯერ ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები, რაც უზრუნველყოფს შემუშავებული კურიკულუმების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- გამოკითხვის ფორმები;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- დამრიგებლის ანგარიშები;
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში;
- მშობელთა კრების ოქმი;
- სკოლის ვებ-გვერდი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრინციპებს. ამავე დოკუმენტის შესაბამისად, საგნობრივ კათედრებს წარმოდგენილი აქვთ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები და დანართები, რითაც ხელს უწყობენ გრძელვადიანი მიზნის მიხედვით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმებში გაწერილია კომპლექსური დავალებები, სავალდებულო სამიზნე ცნებების და სარეკომენდაციო თემების (საშუალო საფეხურზე) შესაბამისად. ქართულ ენასა და ლიტერატურაში მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღწერეს მუშაობის ეტაპები, სწავლებისას აქცენტი კეთდება შემოქმედებით პროდუქტზე, როგორიცაა: პოსტერი, დღიური, ტექსტის ანალიზი, დიალოგი, ესე, ანალიტიკური ესე, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ამოსავალია თითოეული მოსწავლის პიროვნული განვითარება. აღნიშნული შემოქმედებით პროდუქტებზე მუშაობა ააქტიურებს მოსწავლეთა შინაგან ძალებს და, ზოგადად, პიროვნულ განვითარებას ემსახურება. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, გაცემული შეფასების მაგალითები, სადაც წარმოდგენილი კომენტარები ხელს უწყობს მოსწავლის განვითრებას. ასევე, აღსანიშნავია, რომ უცხოურ ენებში სასწავლო პროცესში გათვალისწინმებულია პროექტული ტიპის აქტივობები, როგორც ამას მოითხოვს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, მსგავს დავალებებზე მუშაობის პროცესში მასწავლებელი წარმოადგენს მხოლოდ ფასილიტატორის როლს, მოსწავლე კი დავალებაზე მუშაობისას ახდენს ცოდნის კონსტრუირებას. თემატურ ბლოკებში წარმოდგენილია ის შინაარსობრივი საკითხები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებს, ცხოვრებისეულ გამოცდილებას და შეესაბამება ცოდნის დონეს. საშუალო საფეხურის ინგლისური ენის მეშვიდე კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალება ითვალისწინებს ისეთი პროდუქტის შექმნას, როგორიცაა საგაზეთო სტატიის დაწერა, საგაზეთო სტატიის პრეზენტაცია ხდება ჩამოთვლილი თემებთან დაკავშირებით, რომელსაც მოსწავლე სურვილისამებრ აირჩევს: News, sports, art, problems, fashion, gossip, fun, ეს შეიძლება იყოს როგორც კულტურული, ასევე სპორტული თუ გასართობი ღონისძიებები. გარდა იმისა, რომ მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს საბოლოო პროდუქტს რა თემაზე წარადგენს, შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში მითითებული რესურსები, რაც ასევე ზრდის მისი ავტონომიურობის ხარისხს. ამავე დროს, სტატიის პრეზენტაციის დროს, ის გამოიყენებს იმ ენობრივ საშუალებებს და მიმართავს იმ სამეტყველო ქმედებას, რაც მოსწავლის საკომუნიკაციო უნარებს განავითარებს. გარდა ამისა, მოსწავლეები ჩართული არიან სხვადასხვა პროექტებში, მაგალითად ინგლისური ენის კათედრამ ისტორიის კათედრასთან ერთად საშუალო საფეხურზე დაგეგმა ერთობლივი პროექტი, მათ მოინახულეს ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიული მუზეუმი, სადაც მოსწავლეებმა დაგეგმილი თემატიკის ფარგლებში იმუშავეს. გარდა ამისა, Glory Future Foundation-მა ბანგლადეშიდან, ბანგლადეშელ მოსწავლეებთან ერთად უმასპინძლა კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას, მოეწყო ონლაინ სესია თემაზე - bullying (ბულინგი), VIII-X კლასის მოსწავლეებმა ინგლისური ენის მასწავლებელთან ერთად გააკეთეს თემის პრეზენტაცია. შეხვედრის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სერთიფიკატებით, წარმატებული მონაწილეობისთვის. როგორც კათედრის ოქმებიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა პროექტებსა და აქტივობებში, მათ შორის, ისეთ აქტივობებში, რაც ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. გასაუბრების დროს საშუალო საფეხურის მასწავლებლებმა დაანონსეს მიმდინარე ინტეგრირებული გაკვეთილები, ასევე, აღნიშნეს,

რომ სურვილი აქვთ, მომავალი სასწავლო წლიდან ისე დაგეგმონ სასწავლო პროცესი, რომ მეტი აქცენტი გააკეთონ თემის ფარგლებში უფრო მეტი კომპლექსური ბუნების დავალების განხორციელებაზე ყველა სამიზნე ცნების გააქტიურებით. საგნებში კომპლექსური დავალების იდეები აგებულია მოსწავლეთა საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე. მასწავლებლები მოსწავლის სასწავლო შედეგებზე დაყრდნობით გეგმავენ მომდევნო გაკვეთილს, რისთვისაც აქტიურად ხდება შესასვლელი და გასასვლელი ბილეთების და ასევე განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება. კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს უწევთ მსჯელობა, რა გამოუვიდათ კარგად და რას შეცვლიდნენ მეორედ რომ ასრულებდნენ მსგავს დავალებას. მოსწავლეებისათვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები ნაცნობ და მოსწავლისათვის საინტერესო კონტექსტებს ეფუძნება რაც ზრდის მათ მოტივაციას. მასწავლებლებს აქვთ მაღალი მზაობა მოახდინონ საგნის სამიზნე ცნებებისა და შედეგების დამუშავება მოსწავლეებთან კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა აქტიურად მუშაობს არაფორმალური განათლების ელემენტების გამოყენებაზე, მაგ. სკოლას ერთ-ერთ პრიორიტეტად აქვს სასკოლო პროექტი „დავიცვათ ბიომრავალფეროვნება“, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებლები და მოსწავლეები. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მისაღწევად სკოლა საგნობრივი სტანდარტების მიხედვით გეგმავს კურიკულუმებს, განსაზღვრავს გრძელვადიან სამიზნე ცნებებს, რომლებიც მუშავდება შეძლებისდაგვარად ყველა თემაში. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგები წარმოადგენს მასწავლებლებისათვის სამიზნე ნიშნულს, რომელსაც ყოველი სასწავლო წლის ბოლოს (საფეხურის დაძლევამდე) ავითარებენ და ყოველ მომდევნო სასწავლო წელს ხდება კონკრეტული შედეგების უფრო სიღრმისეულად დამუშავება. ასევე, სწავლებისას აქცენტი კეთდება ფუნქციურ კონტექსტებზე. სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით წარმოდგენილია თემები, რესურსები, სამიზნე ცნებები, კომპლექსური დავალების იდეები. თითოეულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით საჭიროების შესაბამისად გაწერილია ქვეცნებები, ქვესაკითხები, მტკიცებულების სახით კათედრებმა ასევე წარმოადგინეს შესრულებული დავალების ნიმუშები. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის რჩევით, სასურველია შემდეგი უზუსტობების შესწორება: გეოგრაფიის X კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში, პირველივე კომპლექსურ დავალებაში დასაზუსტებელია, როგორ დამუშავდება სამიზნე ცნება „გეოგრაფიული გარსი“. ასევე, აღნიშნული სამიზნე ცნების ქვეცნებაც არასწორად არის მითითებული; XI კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში წარმოდგენილი ქვესაკითხები არის კონტექსტ მაგალითები, რომლებიც შესაძლებელია დამუშავდეს კომპლექსური დავალების ფარგლებში. მაგ. „თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა“, „თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება“, „თურქეთის ბუნებრივი პირობები, მოსახლეობა და მეურნეობა“ არის საკითხები. ასევე, გეოგრაფიის X და XI კლასების კურიკულუმების თავფურცელს უნდა ეწეროს სკოლის სრული სახელწოდება; ისტორიის X კლასის კურიკულუმში, მესამე თემაში არსწორად წერია სამიზნე ცნება „რელიგია“ (ისტორიის საგნორბივი სტანდარტი არ ითვალისწინებს ასეთ სამიზნე ცნებას). ასევე, უნდა დაკონკრეტდეს ცნების ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები. ასევე, ისტორიის XII კლასის კურიკულუმში, მეორე თემაში უნდა დამუშავდეს სამიზნე ცნება „საზოგადოება“; საქართველოს ისტორიის X კლასის კურიკულუმში, სამივე თემაში დასაზუსტებელია ქვეცნებები, ხოლო XI კლასისი

კურიკულუმში, პირველ თემაში ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ მუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“; მოქალაქეობის X კლასის კურიკულუმში, პირველ თემაში დასაზუსტებელია სამიზნე ცნების - „სამოქალაქო მონაწილეობა“ - ქვეცნება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი. განსაზღვრულია რესურსის ტიპები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელოები/სერია; დამხმარე ლიტერატურა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ); ბიბლიოთეკა, მუზეუმები, თეატრი, ისტორიული ძეგლები, და სხვა დამატებითი ციფრული/ელექტრონული და მატერიალური რესურსები, საგნის სპეციფიკის შესაბამისად. თითოეული რესურსი მიზნობრივია და გათვალისწინებულია მოსაწავლეთა ასაკობრივი თავისებურება. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია პროექტორი, კომპიუტერი, სხვადასხვა მატერიალური რესურსი, როგორიც არის რუკები, გლობუსი, პოსტერები, რათა მოსწავლეები ადგილზე გაეცნონ კომპლექსური დავალების განსახორციელებლად საჭირო რესურსს და იქვე დაამუშაონ, რაც აუცილებელია სწავლის შედეგებზე გასასვლელად. წარმოდგენილი რესურსების გამოყენება დასტურდება სკოლის მიერ ექსპერტებისათვის მიწოდებული შესრულებული დავალებებით, პროექტებით და ა.შ. უცხოურ ენებში მასწავლებლები ცდილობენ ისეთი რესურსების შეთავაზებას, რომლებიც ოთხივე უნარში მოამზადებს მოსწავლეებს: წაკითხულის გააზრება, საუბარი, წერა და მოსმენის უნარებში. მათემატიკის სწავლების მიზნით გარდა სახელმძღვანელოებისა, გამოიყენება დამხმარე რესურსები: ხანის აკადემია, ვედეო-გაკვეთილები, MATH.GE-ს ელექტრონული რესურსები, სხვადასხვა საგანმანათლებლო პლათფორმები, თვალსაჩინოებები. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, სასწავლო და საკლუბო მუშაობის ფარგლებში განხორციელებული პროექტები (სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კლუბი, ასევე, არაფორმალური აქტივობები), მოსწავლეებს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში არის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და კომპიუტერული ლაბორატორიები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას საკლუბო, თუ საკლასო სამუშაოებში. შეჯამების სახით, კურიკულუმით გათვალისწინებული, სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია ინკლუზიური მიმართულება, სადაც გაწერილია ინკლუზიური მიდგომის სპეციფიკა, არსი და სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. უშუალოდ სასწავლო პროცესშიც გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს მასწავლებლები გამოკვეთენ მოსწავლის და ზოგადად კლასის საჭროებებს, რაზე დაფუძნებითაც იგეგმება კლასთან და მოსწავლესთან მუშაობა. დასახული მიზნების მისაღწევად,

მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებებს ასარჩევად, ასევე, მოსწავლეებს საშუალება აქვთ, დავალებები წარმოადგინონ სხვადასხვა ფორმატში (პრეზენტაცია, კომიქსი, ფლაერი და სხვა), ასევე, ახდენენ შინაარსის, დროის, გარემოს დიფერენცირებას, მოსწავლეთა სჭიროებების გათვალისწინებით. მათ შორის, სპორტული აქტივობების შესრულებისას მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს მათ შესაძლებლობებზე მორგებულ ფიზიკურ აქტივობებს. ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეებისათვის კურიკულუმის ადაპტაცია და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება მოხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლას გაწერილი აქვს შეფასების სისტემის პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სკოლამ წარმოადგინა შეფასების მასალები, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მაგალითები, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს და აფასებს მოსწავლის სწავლის პროგრესს. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე, შემაჯამებლი დავალებების ანალიზები მიმართულია სამიზნე ცნებებისა და შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევის შემოწმებისაკენ. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მუდმივად ახდენენ შეფასების სისტემაზე დაკვირვებას, თუ რამდენად სანდო ინფორმაციას იძლევა იგი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. განმსაზღვრელი შეფასებით თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკა მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ, მიზანად ისახავს, ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით კი ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული კომპლექსური ტიპის დავალებების იდეები, ბუნებრივად გულისხმობს და შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს, რაც მომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და ფარავს მას. აღნიშნული შეფასების კრიტერიუმები სკოლას უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისას ეფექტურად მიმართოს განმავითარებელი შეფასება. დამატებით, გამოიყენება მოსწავლისა და მასწავლებლის თვითშეფასება, გაკვეთილის შეფასება და სხვა. შეფასებისას გათვალისწინებულია საგნების სპეციფიკა, მაგ, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში მოსწავლის შეფასება ხდება შერჩეული სპორტის სახეობების, ამ შემთხვევაში კი მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის სწავლებისას გამოყენებული შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე შეფასდეს არა მარტო ფიზიკური თვისებების განვითარებით, არამედ უსაფრთხოებისა თუ თამაშის წესების დაცვით, ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშების შესრულებითა, თუ ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით, რომელიც თავის მხრივ შესაბამისობაშია ეროვნული სსასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა ნამუშევრები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები
- დამატებითი რესურსების ჩამონათვალი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*
-

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს 2023–2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და კურიკულუმის ჩარჩოები საშუალო საფეხურზე. სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ გრძელვადიანი მიზნების როლი და საჭიროება, ინტერვიუს დროს მათ დეტალურად მოიყვანეს მაგალითები პრაქტიკიდან, იმისათვის, რომ თემის დამუშავებისას მოსწავლეები გავიდნენ შესაბამის მიზანზე, მიიჩნევენ, რომ საკითხის/ების ან ქვესაკითხის ფარგლებში უნდა დამუშავდეს ქვეცნებები და ამისთვის უნდა დაიგეგმოს შესაბამისი საგაკვეთილო აქტივობები. ჩანს, რომ გარდა საგნების სწავლებისა, სკოლა ყურადღებას ამახვილებს არაფორმალურ აქტივობებზე და გეგმავს სხვადასხვა წრის, კლუბისა და პროექტზე მუშაობას საჭიროებების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ სკოლაში მოსწავლეთა მონაწილეობით პერიოდულად ტარდება კონფერენციები სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით. მასწავლებლები მოსწავლეებს სასწავლო პროცესში სთავაზობენ ნაცნობ კონტექსტებს. ახალი მასალა ეფუძნება მოსწავლის წინარე ცოდნას და ახალი ცოდნა აიგება ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ამავდროულად, სისტემატურად მიმდინარეობს ძველი და ახალი ინფორმაციის/ცოდნის გამთლიანება და შემდეგ უკვე ისეთი კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებზე მუშობა, რომელიც მოითხოვს ცოდნის ტრანსფერს. კომპლექსური დავალებებზე მუშაობისას მოსწავლეებს უწევთ, გადაჭრან პრობლემა საკლასო სივრცეში, მიღებული გამოცდილება განაზოგადონ, გააკეთონ ანალოგია, შექმნან პროდუქტი, ახსნან მოვლენები, ასევე, კიდევ ერთხელ გაიაზრონ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევები. სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა აქტიურობა და ჩართულობა, მათი ცნობისმოყვარეობა. კომპლექსური დავალების პირობები, ასევე მასწავლებლის მიერ საგავეთილო პროცესში დასმული შეკითხვები, გამოყენებული აქტივობები ემსახურება მსწავლელში სწავლის მოტივაციის აღძვრას, რაც უბიძგებს მას მოიძიოს ინფორმაცია, დაახარისხოს, გამოიტანოს დასკვნები. იმისათვის, რომ მოსწავლეს არ გაუჭირდეს დამოუკიდებლად ინფორმაციის დამუშავება და ცოდნის აგება, მას დახმარებას უწევს მასწავლებელი და ასევე, სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები, რომელიც ემსახურება ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებასა და ცოდნათა გამთლიანებას. სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა იმას, რომ მოსწავლემ თავადვე გაიაზროს რა შეასრულა კარგად, რა ცოდნა მიიღო, რა უნარები განუვითარდა და როგორ შეიძლება დახვეწოს, გააუმჯობესოს და გამოიყენოს მიღებული ცოდნა. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეები, ამთლიანებს და დინამიკაში წარმართავს პროცესს.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მხრიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების საფუძველზე ვლინდება, რომ სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დგინდება, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულებას იღებს, ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. კურიკულუმის განვითარება გულისხმობს შემდეგ ფაზებს: (ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია. შესაბამისად, რევიზიის დროს, კათედრებზე შეხვედრებისა თუ თავად მასწავლებლების თვითდაკვირვების შედეგად გამოვლენილი საჭიროებეის მიხედვით ხორციელდება

კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ ჩანს მოსწავლეთა დიაგნოსტირების მაგალითები. მასწავლებებიც ადასტურებენ, რომ ამ მიმართულებით ნაკლები გამოცდილება აქვთ. აღსანიშნავია, რომ სკოლა საჭიროების შესაბამისად ახორციელებს კურიკულუმში გარკვეული ცვლილებების შეტანას, მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით გვხვდება სწორი და დროული რეაგირების განხორციელების პრაქტიკები.
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევაა, სკოლამ მოსწავლეთა საჭიროებების და სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულებიის/მიღწევების შესწავლის მიზნით საფეხურის ფარგლებში ჩაატაროს სადაიაგნოსტიკო შეფასებები. მოსწავლეთა რაც ხელს შეუწყობს დაადგინოს რამდენად აღწევს სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგს და ჰქონდეს რეაგირება შემხვედრ საჭიროებებზე.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ რუბრიკებს შეიმუშავებენ მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად და მოსწავლეებისა და მშობლებისთვის ცნობილია მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები, რომელიც გაზიარებულია მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელების მეშვეობითაც. შეფასების სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მოსწავლეებისა და მშობლებისთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების სისტემა. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები და ასევე რა მოთხოვნები და მოლოდინები აქვს მასწავლებელს თითოეულ დონეზე. რამოდენიმე კომპლექსური დავალებისთვის შექმნილი შეფასების რუბრიკა სკოლას წარმოდგენილი აქვს მტკიცებულების სახით. შეფასების კრიტერიუმები ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების კრიტერიუმების წინასწარ ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეებში შეფასების სანდოობისა და ვალიდურობის გაზრდას. კათედრებზე შემუშავებულია როგორც კომპლექსური დავალებების, ისე სხვადასხვა ტიპის აქტივობის თუ სამუშაოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები. ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს მათ რეფლექსიას სწავლის პროცესზე.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. შეფასების რუბრიკები, განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებები, მიმართებაშია საგნობრივ სტანდართთან და მიზნებთან, რაც მის ვალიდულობას ადასტურებს. შეფასებაში გამოყენებულია გაზომვადი კრიტერიუმები, რუბრიკები შემუშავებულია ობიექტური შეფასების სისტემით. გასაუბრებაზე კათედრის წევრები ადასტურებენ, რომ რუბრიკების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან მოსწავლეები, ასევე, მშობლებისათვის ცნობილია ის კრიტერიუმები, რითაც მოსწავლეები ფასდებიან სასწავლო პროცესში. აღნიშნული შეფასების მექანიზმს გამჭვირვალეს და ვალიდურს ხდის სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმს. დოკუმენტი მოიცავს: ვერიფიკაციის პროცესის მიზანს;

ვერიფიკაციის პროცესის ეტაპებს; ჩატარების ვერიფიკაციის პროცესის განმახორციელებელ პირებს - ეს არის დირექტორი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი, განხორციელების მიმართულებებს; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების; მასწავლებლის და მოსწავლის შეფასების ვერიფიკაციის პროცესის წარმართვის საკითხებს; შეფასების მტკიცებულებების შეგროვების პროცედურას, რისკების სისტემას და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა ვერიფიკაციის ჯგუფისა და განრიგის შექმნის ბრძანება (ბრძანება 2/27; 2024 წლის 26 მარტი). ვერიფიკაციის პროცესზე მსჯელობისას მასწავლებლები ძირითადად საუბრობენ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე - მასწავლებლებს გააჩნიათ შეფასების ინსტრუმენტების გადახედვის/შეცვლის გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები მოსწავლეთა ნამუშევრების სახით სკოლაში ინახება არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ, წარმოდგენილია სემესტრული და წლიური კომენტარები როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება კათედრებზე. ექსტერნატის გამოცდის შედეგების, ასევე შუალედური და ფინალური ტესტირებების შედეგების შესახებ ინფორმაცია ინახება არქივში. პირადი საქმეები ინახება მატერიალური სახით. დაცულია ვადები და კონფიდენციალობა. სახელმწიფო ენის საგნორბივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროსმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვის და შენახვის ვალდებულება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა რეფლექსიები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- მოსწავლეთა კონფერენციის დებულება;
- წრის გეგმა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო, კახათის წმიდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის შეფასების ინსტრუქცია
- ვერიფიკაციის ჯგუფისა და განრიგის შექმნის ბრძანება (ბრძანება 2/27; 2024 წლის 26 მარტი)

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;
3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
   მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.
4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ დამტკიცებულ დოუმენტში ,,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია", განსაზღვრულია კურიკულუმის შემუშავებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი: მასწავლებლის მიერ განსაზღვრა იმისა, თუ რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ამასთან, წარმოდგენილ კურიკულუმებში, გაკვეთილის გეგმებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებში, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა რომ სასწავლო პროცესში საგნის სპეციფიკის შესაბამისად, აქტიურად გამოიყენება დამხმარე რესურსის სახით ელექტრონული რესურსები: ვიდეორგოლი, ფილმი, აუდიოჩანაწერი/აუდიოწიგნი, ანიმაცია, ასევე, თვალსაჩინოებები: პლაკატი, ტაბულა, სქემა, ცხრილი, პრეზენტაცია, მოდელი, რუკა, მაკეტი. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, პროექტორები, რომლითაც სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას და რომელიც ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს შიდა სპორტული დარბაზი, სკოლაში გამოყოფილია ფართი, რომელზედაც განთავსებულია მაგიდის ჩოგურთის ინვენტარი და რომელიც გამოყენებულია სპორტის ამ სახეობის შესასწავლად, თუ ღონისძიებების ჩასატარებლად, მოწყობილია ღია სპორტული მოედანი. მათემატიკის სწავლების მიზნებისათვის ძირითადი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელებთან ერთად გამოიყენება „ხანის აკადემია", MATH.GE-ს ელექტრონული რესურსები, ტესტებს, ევერესტის და კინგსის რესურსები. სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ლაბორატორიებით, სადაც შესაძლებელია დაგეგმილი ექსპერიმნეტული, მცირე კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. ასევე, აღსანიშნავია, რომ სკოლა იყენებს აქტიურად ელექტრონულ რესურსებს: ტელესკოლის, ck12 ის, საკუთარ, თუ მოსწავლეთა მიერ შექმნილ რესურსებს.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მირ წარმოდგენილ დოკუმენტებში „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია" და სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის წესი, რომელიც განიხილება საგნობრივ ჯგუფებში,

კურიკულუმის რევიზიისას განიხილება რესურსების ეფექტურობა, ვალიდურობა და ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები. როგორც მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, დამახმარე სასწავლო რესურსების გამოყენების დროს მუდმივად ფიქრობენ როგორ შეამოწმონ სასწავლო რესურსის ეფექტიანობა და განავითარონ მისი გამოყენების სტრატეგიები. რესურსების ვალიდურობას ადასტურებს მოსწავლეთა შედეგები. სასწავლო რესურსის გამოყენების შემდეგ მასწავლებლები ადგენენ: გამოიწვია თუ არა მოსწავლეთა ინტერესი? გაიზარდა თუ არა მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო რესურსის გამოყენების პროცესში? როგორ შეუწყო ხელი სწავლას, რა ისწავლეს? გამოიწვია თუ არა მოსწავლეთა მოტივაცია ისე, რომ მათ კვლევა გააგრძელონ სახლში? ამ კითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ მასწავლებლები იკვლევენ: შეუწყო თუ არა სასწავლო რესურსმა შედეგების მიღწევას ხელი? რამ გაამართლა? რა იყო რთული? რას გააუმჯობესებენ? კათედრაზე მასწავლებელთა შეხვედრების ოქმები, წარმოდგენილი მასწავლებელთა რეფლექსიები ადასტურებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლაში ირიცხება 76 მოსწავლე, თითოეული მათგანი უზრუნველყოფილია გრიფირებული სახელმძღვანელოებით. წარმოდგენლი ღონისძიებების ჩანაწერებით, ფოტო-ვიდეო მასალით დასტურდება, რომ სკოლას აქვს საბიბლიოთეო გარემო, ჰყავს ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები და მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ სკოლის ბიბლიოთეკართან, აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებებს. არსებულ რესურსებს მოსწავლეები იყენებენ სასწავლო მიზნების მისაღწევად. მიუხედავად შიდა სპორტული დარბაზის არქონისა, სკოლა უზრუნველყოფილია გარე სპორტული მოედნით და სკოლის შიდა სივრცეში გამოყოფილია ალტერნატიული ფართი, სადაც სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად ხორციელდება. სკოლას შეძენილი აქვს ბურთები, კონუსები/ფიშკები და სხვა საშუალებები სპორტის საგნის სათანადო წარმართვის მიზნით. აღსანიშავია, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია არა მხოლოდ მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე, არამედ კეთებით სწავლის ელემენტების გამოყენებით, შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლაში შექმნილია სოციო-კულტურული სივრცე შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მატერიალური რესურსებით, რომელიც უზრუნველყოფს და ხელს უწობს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებას. მთლიანობაში, ფიზიკური სასწავლო გარემო ხელს უწყობს კურიკულუმებში გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლას შემუშავებული აქვს რესურსების გამოყენების წესი (მუხლი 2. ლაბორატორიით სარგებლობის მიზნები და ამოცანები). სკოლაში არის ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორიები (აღჭურვილობა მოიცავს 208 ერთეულს). ლაბორატორიაში დაცულია უსაფრთხოების წესები, კარადები უზრუნველყოფილია საკეტებით, გამოკრულია ნივთიერებებთან მუშაობის წესები, ნივთიერებები შენახულია თავდახურულ ჭურჭელში. ქიმიის ლაბორატორია იძლევა უსაფრთხო ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას და უზრუნველყოფს მოსწავლეების ჩართულობას საკლუბო, თუ საკლასო სამუშაოებში. ამასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის რჩევაა, სკოლის სამუშაო მაგიდა აღიჭურვოს მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის სკოლაში დასაქმებულია 14 უფროსი მასწავლებელი, 1 წამყვანი მასწავლებელი, 1 მოწვეული მასწავლებელი, 2 მასწავლებლობის მაძიებელი, 3 დროებით შემცვლელი მასწავლებელი (სამუშაოზე აყვანილები არიან ვაკანტური თანამდებობის შევსებამდე). ადამიანური რესურსის დატვირთვის გათვალისწინებით, სრულად არის უზრუნველყოფილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლება. **ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- სასწკოლო სასწავლო გეგმა;
- დამხმარე რესურსების ჩამონათვალი;
- კათედრების სხდომის ოქმები;
- 2011 წლის 23 დეკემბრის ხელშეკრულება (№ geo-045/1/3) შპს „ჯეო დეკორთან“ და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (2012 წლის 5 იანვარი);
- შპს „GT ჯგუფთან“ 2024 წლის 20 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება ქიმიური და ბიოლოგიური რექატივების შეძენის შესახებ და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი (2024 წლის 21 თებერვალი);
- სკოლის ინვენტარიზაციის აქტი;
- E-school-ის ბრძანებიდან მიღებული მონაცემები;
- სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მათი პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას;
3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, სკოლა შეფასების პროცესის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს მონიტორინგს, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას მუდმივად, მეთვალყურეობასა და კონტროლს. დოკუმენტში გაწერილია კურიკულუმის შემუშავების ეტაპები და პროცედურები, აღწერილია კურიკულუმის სარეკომენდაციო სტრუქტურა, მის განვითარებაზე პასუხისმგებული პირები, პროცესი, თუ როგორ მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის საფუძველზე მოხდება მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და შესწავლა, რაც კურიკულუმის განვითარების საფუძველი იქნება. მონიტორინგს ფუნქცია სკოლაში ხარისხის მართვის ჯგუფსა და საგნობრივი კათედრებზეა განაწილებული. მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება მასწავლებელთა მხრიდან საკუთარი პრაქტიკის ანალიზს, განხორციელებული აქტივობების რეფლექსიებს, კათედრაზე გაწეული სამუშაოების წლიურ ანგარიშებს. ჯგუფის წევრები მონიტორინგს უწევენ ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა: ურთიერთდასწრება გაკვეთილზე, პროექტები და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები. პედაგოგები აგროვებენ მონაცემებს განსაზღვრულ ვადებში, საგნობრივი კათედრის შეხვედრებზე აანალიზებენ შეგროვებულ ინფორმაციას, აკეთებენ რეფლექსიას და უზიარებენ სასკოლო საზოგადოების წევრებს: დირექციას - ანგარიშის სახით; მშობლებსა და მოსწავლეებს - ინდივიდუალურ შეხვედრებზე. შემუშავებულია ხარისხის მართვის და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო გეგმა და ინკლუზიური განათლების პროცესების შიდა მონიტორინგის განხორციელების წესები. მთლიანობაში, კურიკულუმის განვითარება ციკლური პროცესია და მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია.
   ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრება (კრიტიკული მეგობარი) და გამოცდილების გაზიარება. კათედრებზე სემესტრულად ჯამდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მასწავლებლების შემთხვევაში, ეს გამოიხატება

გამოცდილების გაზიარებაში, სასწავლო ჯგუფებში მუშაობაში და ტრენინგებსა და ვებინარებში მონაწილეობაში (გამოვლენილი საჭიროებიდან გამომდინარე), მოსწავლეების შემთხვევაში - ეს არის ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლება. სკოლაში შექმნილი ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ჯგუფი თვალყურს ადევნებს და აფასებს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს, ესწრება გაკვეთილებს, აფასებს ჩატარებული გაკვეთილის ხარისხს და გამოვლენილი პრობლემის ანალიზის შედეგად ახორციელებს შესაბამის ინტერვენციებს. სკოლას აქვს პრაქტიკა, პედაგოგები გაეცნონ შეფასება/მონიტორინგის შედეგებს, მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი საკუთარი პრაქტიკის და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ, ერთობლივი ძალებით გამოასწორონ აღმოჩენილი ხარვეზები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია სკოლას ჰქონდეს შემუშავებული სკოლაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და შეფასების გამართული, სრულყოფილი მექანიზმი, რაც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც გულისხმობს მიღწევების ანალიზს, წარსულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას, ანალიზი ახალი შესაძლებლობებისათვის და სხვა. ამ თვალსაზრისისთ სკოლას აქვს საკვანძო მიმართულებები: ანგარიშვალდებულება - მიზნობრივად განხორციელებული მონიტორინგი და შეფასება განაპირობებს ეფექტიან ანგარიშვალდებულებას. მიღწევა - მონიტორინგისა და შეფასების სისტემა წინაპირობას ქმნის მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს აფასებენ მოსწავლის/მასწავლებლის სასწავლო პროცესს, ადგენენ სფეროებს და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, უკუკავშირის და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. დაგეგმვა -მონიტორინგი და შეფასება ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. აღნიშნული განხილულია ხარისხის ჯგუფის ანგარიშში. სკოლაში კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერას. აღნიშნული პროცესის მთავარი დანიშნულება არის დროულად გამოავლინოს არსებული გამოწვევები და დაგეგმოს მათი მოგვარების გზები. სკოლაში არის ურთიერთდასწრების გამოცდილება, რომლის დროსაც პედაგოგები აკვირდებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, მსჯელობენ ხარვეზებსა და გამოვლენილ საჭიროებებზე, რასაც ერთობლივად განიხილავენ და ისე გეგმავენ მომავალ აქტივობებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლები აფასებენ მოსწავლის სწავლის პროცესს, ადგენენ იმ სფეროებს და უნარებს, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, აძლევენ უკუკავშირს და მიგნებების გათვალისწინებით გეგმავენ სწავლის პროცესს. კურიკულუმის დანერგვის, მოსწავლეთა სწავლების პროცესში გამოვლენილი თითოეული პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილიახარისხის მართვისა და მასწავლებლთა პროფესიული

განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო ნაწილის ანგარიში
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- კათედრის ოქმები
- კათედრის თავმჯდომარის ანგარიში
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი გეგმის შესაბამისად და რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. მონიტორინგის პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი, როგორც კათედრის წევრები, ასევე დირექცია.მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ შეფასება ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე და სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა, კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები, მოსწავლეთა თვითშფასება და ურთიერთშფასება, დაკვირვება სასწავლო პროცესზე,მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები, მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. სკოლაში დანერგილია მასწავლებელთა პორტფოლიოების წარმოება, რომელსაც წლის ბოლოს შეამოწმებს

დირექცია და გასცემს შესაბამის უკუკავშირს. სასწავლო პროცესის შეფასებისათვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. ესაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, რომელიც ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად სწორადაა დაგეგმილი პროცესი, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა და ფოკუსჯგუფები, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლისა და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თვალით დაინახონ და შეაფასონ პროცესი. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინდივიდუალურად ეცნობიან შვილების განმავითარებელ შეფასებას, აქედან გამომდინარე მოსწავლეთა მშობლებს შესაძლებლობა ეძლევათ იზრუნონ თავისი შვილის შედეგების გაუმჯობესებისათვის. დამრიგებლები აღრიცხავენ მოსწავლეთა ინტერესებს და თავისუფალ დროს მათ მიერ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობას. სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები პრობლემური საკითხის წამოჭრისას აქტიურად აგროვებენ ინფორმაციას დაკვირვების, გამოკითხვის, ურთიერთთანამშრომლობით გზით, რათა მოხდეს პრობლემის ობიექტური შეფასება. სკოლაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებულია მრავალფეროვანი წყაროები, რაც ითვალისწინებს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდს. აქ მოიაზრება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც წყარო, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. მონაცემების შეგროვების მეთოდებია: კითხვარები, დოკუმენტაციის ანალიზი, სასკოლო თემის ჩართულობა/ინიციატივები, მოსწავლეთა მიღწევების სტატისტიკური ანალიზები, მოსწავლეთა ნამუშევრებისა და შეფასებების ანალიზი, ინტერვიუები, სოციალური ქსელების ანალიზი და სხვა. მათი წყაროა სასკოლო თემის/ან გარე ფაქტორიები წარმომადგენლები. სკოლა-გიმნაზიის პედაგოგებმა გასაუბრების დროს დაასახელეს ის წყაროები, რომლებსაც ეყრდნობა სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება. ესენია: გამოკითხვა, სასწავლო პროცესზე დაკვირვება, სხვადასხვა აქტივობების და დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვება, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვება, მასწავლებლის ელექტრონული პორტფოლიოს გაცნობა და ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული საშინაო დავალებების და კომპლექსური დავალებების შესრულებაზე დაკვირვება, მოსწავლეთა პორტფოლიოს გაცნობა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასებისას გასათვალისინებელ კონტექსტსა და ფაქტორებს, სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებისა და შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით, სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტსა და ფაქტორებზე დაყრდნობით, ვინაიდან ყველა მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია.მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის სოციალურ და ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას, რომლის შესახებაც იღებენ ინფორმაციას კლასის დამრიგებლისგან.ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას გათვალისწინებელია სასწავლო თემა, როგორც კონტექსტი, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები, აკადემიური მოსწრება და ა.შ სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. შესაბამისად შემუშავებული რუბრიკებით ფასდება მოსწავლის ცოდნა/უნარები და დამოკიდებულებები. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. საკლასო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერითი, ზეპირი,

ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.). ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს პრაქტიკა, შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. სასწავლო პროცესის შეფასებისას დაკვირვება ხორციელდება დირექციის მხრიდან, ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული ჯგუფის წევრების მხრიდან, გამოიყენება მშობელთა გამოკითხვა, კათედრის საქმიანობის ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები, მოსწავლეთა თვითშეფასება და აკადემიური მიღწევების ანალიზი. სახელმმწიფო ენის ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლამ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს სასწავლო პროცესის შეფასებისას რომელ მეთოდებს გამოიყენებს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე, ირკვევა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. სოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში ,,კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, გაწერილია მონიტორინგისა და შეფასების კომპონენტი, თუმცა მასში მკაფიოდ არაა გაწერილი, რამდენად ურთიერთდაკავშირებულად/სხვადასხვა კონტექსტების/ფაქტორების გათვალისწინებით ხდება დანერგვის პროცესის ამსახველი მასალების დამუშავება. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ქმედითად ხედავს შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების საჭიროებას: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსები, ფსიქო-ემოციური ფონი, მოსწავლეთა უნარებისა და ინტერესების გამოკვეთა. სკოლა ამ თვალსაზრისით აანალიზებს, შეფასებისას რამდენად გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: ხედვის პერსპექტივა; მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. მულტიფაქტორული მიდგომა საშუალებაა მოსწავლის დიფერენცირებული და ინკლუზიური პროფილის შემუშავების, მისი სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირების და ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებისა. სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლის მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ჩანდეს, რა მექანიზმით მოხდება შეფასებისას ფაქტორის გათვალისწინება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელთა პორტფოლიოები;
- მშობელთა გამოკითხვის ფორმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას. პროცესი მიემართება დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენ. სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმის გადასინჯვისა და რევიზიის საკითხებს. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ მონაცემებს საკუთარი პრაქტიკული საქმიანობისა და მოსწავლეთა მიღწევებისა და სასწავლო პროცესის შესახებ, აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ახალ პრაქტიკას, სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. ასევე, კათედრის წევრები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ და უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, იზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. თითოეული მასწავლებლის რეკომენდაცია მოცემულია როგორც მათ რეფლექსიაში, ასევე კათედრის ოქმში, რომელიც წლის ბოლოს უნდა გაფორმდეს. სკოლაში შემუშავებული კურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და მოქმედების არეალს, რომელშიც გათვალისწინებულია სკოლის

გამოცდილება, მისი ძლიერი მხარეები და გამოწვევები. დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებულია გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. ასევე, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს შესაძლებლობა თანამშრომლებისას გუნდურობამ და სასწავლო პროცესში აქტიურმა ჩართვამ ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის და სკოლისადმი მიკუთვნებულობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ყოველწლიურად იქმნება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანალიზის გამოცდილება (მაგ. შემაჯამებლების ანალიზები, მასწავლებელთა რეფლექსიები, სადაც წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები სასწავლო პროცესის განსავითარებლად. სკოლას წარმოდგენილი აქვს როგორც 2023–2024 სასწავლო წლის გეგმა, ისე 2023–2024 სასწავლო პროცესის შეფასებისა და მონიტორინგის ანგარიშის ფორმა, ასევე, გააჩნია მოქმედი საგნობრივი კურიკულუმის შეფასების მეთოდოლოგია. ამდენად, სკოლას გააზრებული აქვს კურიკულუმის განხორციელებისას გამოვლენილი გამოწვევები და შექმნილი აქვს რევიზირებული ვერსია, რაც ინერგება მიმდინარე სასწავლო წელს. ფაქტია, რომ სკოლა აცნობიერებს სამოქმედო გეგმისა და კურიკულუმის დანერგვის პროცესის მუდმივი ინტერაქციის საჭიროებას, რაც მოსწავლეთა შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებულ პროცესების რეფლექსიებს, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემებს ეყრდნობა. შესაბამისად, სკოლა ციკლურად გეგმავს ცვლილებებს ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში კლასის დონეზე/საფეხურის დონეზე.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმი
- მასწავლებელთა რეფლექსია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ნოდარ ანგურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლიკა გიორგაზე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი წევრი -

ხათუნა ნოზაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

თამთა პეტრიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

ნინო როსტომაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

თამარ კვანტიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

მაკა ნატროშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი-

თარიღი 24.06.2024